619
1978

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# დროშა

სექტემბერი
№ 9 1978 წ.


ბოლნისის

15-863

საქართველო მდიდარია ქვის საამშენებლო მასალით. ჩვენებური მარმარილო, ტუფი, ბაზალტი, სხვადასხვა სახის ვულკანური წარმოშობის ქანები ძველთაგანვე იყო განთქმული თავისი მყარი, მოხდენილი, საიმედო საამშენებლო თვისებებით.

ბოლნისის რაიონი ამჟამად საშენ მასალათა მოპოვების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცენტრია ჩვენს რესპუბლიკაში.

ვის არ სმენია ბოლნისური მაღალხარისხოვანი ტუფისა და ბაზალტის შესახებ?

საქართველოს მადლიან მიწაზე მოპოვებული ეს საამშენებლო მასალები მრავალი ქუჩის, პროსპექტის, ბაღის, ხიდისა თუ მრავალსართულიანი შენობების ფასადებს ამშვენებს.

ბოლნისური ტუფი თავისი ორიგინალური, მართლაც რომ მომხიბლავი დეკორატიული თვისებებით მეტ შნოსა და ეშხს მატებს საქართველოს დედაქალაქს. სწორედ ბოლნისის ტუფით არის მოპირკეთებული თბილისის ერთ-ერთი მშვენება — მთავრობის სასახლე, ბოლნისის ტუფი ამშვენებს მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის თბილისის ფილიალის დიდებულ შენობას, ჩვენს წინაპრებს ნათელი, მზის სხივებივით მოელვარე ბოლნისის ტუფით მოუპირკეთებიათ სიონის უძველესი ტაძარი...

ტუფის ქანები ვულკანური ამოფრქვევის დროს გავარვარებული ნამსხვრევებისა და ფერფლის ერთმანეთთან შედუღაბებით წარმოიქმნა. რკინის ჰიდროჟანგის მეოხებით ტუფზე მოყავისფრო კლაკნილი ზოლები გაჩნდა და მეტი პეწი შემატა მას.

ვულკანური წარმოშობისაა აგრეთვე ბოლნისური ბაზალტიც. ბაზალტი რკინის შემცველ ქვას ნიშნავს და გავარვარებული ლავის გაციების შედეგად არის წარმოქმნილი.

ეს ძვირფასი საამშენებლო მასალა ძველთაგანვე ფართოდ გამოიყენებოდა სხვადასხვა ნაგებობათა მშენებლობაში. საკმარისია აღინიშნოს, რომ სწორედ ბოლნისური ბაზალტით არის აშენებული სამშვილდისა და დმანისის ციხესიმაგრეები, ნადარბაზევის კომპლექსი, მანგლისის კათედრალური ტაძარი, ქართლისა თუ მესხეთ-ჯავახეთის მრავალი ღირსშესანიშნავი ნაგებობა.

ბაზალტის ქვის მომპოვებლები ჯერ მიწის ზედაპირს ხსნიან, გულმოდგინედ ასუფთავებენ, შემდეგ გაშიშვლებულ ბაზალტის ქანებში სოლებს ასობენ და საჭიროების მიხედვით აპობენ ქვას. გაპობილი ბაზალტის ლოდები ამწეებისა და ტრაქტორების საშუალებით გამოაქვთ და ერთ ადგილზე ახვავებენ.

კარიერიდან წამოღებული ბაზალტის ვეება ლოდები შემდეგ იხერხება და სხვადასხვა საჭირო ზომებად მუშავდება.

ქვის დამუშავების ქარხანას, რომელიც მდინარე მაშავერის პირას არის გაშენებული, ოთხი ჰექტარი ფართობი აქვს დათმობილი. ამ ფართობზე მოხდენილად ჩამწკრივებული დამუშავებული ტუფის და ბაზალტის საამშენებლო მასალა თავის დამკვეთებს ელოდება.

ქარხანა ძირითადად სამი სახეობის პროდუქციას უშვებს: მოსაპირკეთებელ ტუფის ფილებს, ბაზალტის ბორდიურებს და კიბის საფეხურებს.

ბოლნისის ადგილმრეწველობის კომბინატის დირექტორი სპარტაკ ფრუიძე ქარხნის ტერიტორიას გვათვალიერებინებს და გვიხსნის, რომ უახლოეს მომავალში ქარხანა სარკინიგზო ხაზით დაუკავშირდება მადნეულის რკინიგზის ცენტრალურ მაგისტრალს. რკინიგზის გაყვანა, ცხადია, მნიშვნელოვნად წასწევს წინ საქმეს, გააადვილებს შრომას, დააჩქარებს და გააუმჯობესებს პროდუქციის რეალიზაციას, შეამცირებს საშენი მასალის თვითღირებულებას...

ბოლნისელი ქვის მომპოვებლები, რომლებიც თავდადებით იბრძვიან სკკპ XXV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა წარმატებით განხორციელებისათვის, ყველაფერს აკეთებენ ახალი სასახელო მიჯნების დასაპყრობად.

ხუთწლედის მესამე დამკვრელურ წელს ისინი, ეჭვს გარეშეა, შრომაში მოპოვებული წარმატებებით დაამთავრებენ.

აი, თუნდაც რამდენიმე საგულისხმო მაგალითი: ერთი კუბური მეტრი ქვის დამუშავება საექსპლოატაციო ღირებულებით 29 მანეთი უნდა დაჯდეს, ქარხანას კი იგი 25 მანეთი უჯდება, მოსაპირკეთებელი ფილების ყოველი კვადრატული მეტრი პრეისკურანტით 24 მანეთი ღირს, ფაქტიურად მხოლოდ 14 მანეთი უჯდებათ, ბორდიურების ერთი გრძლივი მეტრის მიღების ღირებულება 8 მანეთია, ქარხანას კი იგი 4 მანეთი და 32 კაპიკი უჯდება.

ბოლნისური საშენი მასალის პროდუქცია საბჭოთა კავშირის ბევრ კუთხეში იგზავნება.

აი, ახლაც კრასნოდარიდან სატვირთო მანქანა შემოგრიალდა ქარხნის ეზოში. სტუმარს ქვის გადამამუშავებელი საწარმოს უფროსი ამბროსი მაისურაძე მიეგება. მათ მეგობრულად ჩამოართვეს ხელი, ერთმანეთი მოიკითხეს, ეტყობათ, უკვე კარგი ნაცნობები არიან.

საუბრობდნენ, მაგრამ ახლად მოსულ ვლადიმერ ტუშენკოს თვალი ერთმანეთზე სათუთად დალაგებული მოსაპირკეთებელი ფილებისკენ გაურბოდა.

ამბროსი მაისურაძე მიუხვდა სტუმარს.

— თქვენი ფილები, როგორც ყოველთვის, ახლაც უკლებლივ მზად არის. შეგვიძლია მანქანაზე დავტვირთოთ.

თქვა ეს და ახლა ნიკოლოზ ბორისოვს მიეგება, რომელიც ტაგანროგიდან ჩამოვიდა და ქარხნის ეზოში ეს-ეს არის დაამუხრუჭა მანქანა.


ეროვნული ბიბლიოთეკა

შესვენება.



პროდუქცია მზად არის.

# ქვის მადლი

ქართული ძვირფასი საამშენებლო მასალების წასაღებად ქარხანაში სტუმრები ხშირად მოდიან. მათ ყოველთვის გულღიად ხვდებიან და ყოველთვის კმაყოფილებს ისტუმრებენ.

ვინ იცის, რამდენ გარჯას, რამდენ თავდადებულ შრომას მოითხოვს ის, რომ ყოველთვის ასე წარმატებით გაუძღვნენ საქმეს.

ბოლნისელი ქვის მომპოვებლები და დამამუშავებლები კი ყოველთვის პირნათლად გამოდიან დამკვეთელთა წინაშე.

მართლაც რომ თავდადებით შრომობენ მოწინავე მუშები ე. კაპანაძე, ბ. ბეჟანიშვილი, დ. მანაგაძე, ქვის მხერხავი ოსტატები ა. ისიანი, ვ. გუგუშვილი და კიდევ რომელი ერთი მოთვალოს კაცმა. მთელი კოლექტივი ერთი აზრით, ერთი სურვილით არის განმსჭვალული: პირნათლად შეასრულოს მის წინაშე დასახული ამოცანა.

ქარხანამ წელს 1.100.000 მანეთის მაღალხარისხოვანი პროდუქცია უნდა გამოუშვას.

შრომის რიტმი, მთელი კოლექტივის მონდომება იმის მტკიცე საწინდარია, რომ დავალება პირნათლად იქნება შესრულებული. ქართული საამშენებლო ქვა დასახული გეგმით ზუსტად მივა დანიშნულ ობიექტზე, კიდევ უფრო გაფართოვდება მისი გამოყენება და საყოველთაო აღიარება.

უშანგი ბედია

იხერხება ქვა.



თარხან არჩვაძის ფოტო.

საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა

# პარტიის აგრარული პოლიტიკა ცხოვრებაში



# გვესაუბრება რაიკომის მდივანი

საქართველოს კპ ცხაკაიას რაიკომის პირველი მდივანი ვახტანგ ესვანჯია.

„ცხაკაიას რაიონში უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება 58,4 პროცენტით გაიზარდა. ხოლო მეათე ხუთწლედის ორ წელიწადში, მეცხრე ხუთწლედის შესაბამის პერიოდთან შედარებით, ზრდამ 60 პროცენტს მიაღწია, მაშინ, როცა საშუალო რესპუბლიკური მაჩვენებლები 23 პროცენტია. პროდუქციის წარმოება სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ყოველ 100 ჰექტარზე გაიზარდა 37,7 პროცენტით".

რაიონის მშრომელთა სასახელო შემართება ასე ხაზგასმით აღნიშნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XII პლენუმმა, რომელიც მიმდინარე წლის ივლისში გაიმართა.

ზრდის სტრატეგია — ასე შეიძლება ეწოდოს იმ პრაქტიკულ ნაბიჯებს, რომელიც რაიონის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა გადადგეს მეათე ხუთწლედის დავალებათა პირნათლად შესრულების რთულ გზაზე.

რაში მდგომარეობს იგი?

ამ შეკითხვაზე ჟურნალ „დროშის" სპეციალურ კორესპონდენტს დავით ბიწაძეს პასუხი გასცა პარტიის ცხაკაიას რაიკომის პირველმა მდივანმა ვახტანგ ესვანჯიამ.

— ცხოვრების დაბეჯითებული მოთხოვნაა, სოფლის მეურნეობის წინსვლის ერთ-ერთი გადამწყვეტი საფუძველია წარმოების სპეციალიზაცია და კონცენტრაცია, ესე იგი ის, რასაც მარქსისტ-ლენინელები სოციალისტური წარმოებისა და შრომის შემდგომ განსაზოგადოებას უწოდებენ, — ხატოვნად თქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმზე.

პარტიის კურსის სისწორესა და შორსმჭვრეტელობაში ჩვენი რაიონის პრაქტიკამ დაგვარწმუნა. სოფლის მეურნეობის ცალკეული დარგების სპეციალიზაციას და კონცენტრაციას საკმაო ხანია ჩაეყარა საფუძველი. რამდენიმე წლის წინათ შეიქმნა მეფრინველეობის და მეღორეობის საკოლმეურნეობათაშორისო ფერმები. ეს პროცესი უკანასკნელ წლებში სულ უფრო ღრმავდება.

ხორცის პრობლემის გადაწყვეტა, უწინარეს ყოვლისა, დამოკიდებულია საქონლის ხორცის წარმოების გადიდებასთან. თეკლათის ი. ჭავჭავაძის სახელობის კოლმეურნეობის ბაზაზე ჩამოყალიბდა მეცხოველეობის საკოლმეურნეობათაშორისო კომპლექსი, რომელიც შემდგომში გაფართოვდა და გაერთიანებად გარდაიქმნა. იგი მალე სრული დატვირთვით ამოქმედდება. აქ იყოლიებენ 1.200 მეწველ ძროხას, წელიწადში გამოზრდიან სამი ათასამდე ხბოს და გაასუქებენ 1.500 სულ საქონელს. ოთხი ათასამდე ტონა რძე, ექვსასამდე ტონა ხორცი, — ასეთია გაერთიანების საპროექტო სიმძლავრე. ეს კი იმაზე გაცილებით მეტია, ვიდრე წინა ხუთწლედში რაიონი ყოველწლიურად აწარმოებდა. დასახულია მიზანი, ხუთწლედის ბოლოს აქ თითოეულ ფურზე მიიღონ ოთხი ათასი კილოგრამი რძე. მთელს ჩვენს რესპუბლიკაში განთქმულმა მწველავმა კოტე ლაშქარავამ, რომელიც 25 შავჭრელი ჯიშის ძროხას უვლის, ამ მიჯნებს შარშან უკვე გადააჭარბა და ახლა ილვწის მაჩვენებელი 5 ათას კილოგრამამდე გაზარდოს. წველადობის ეს დონე წინათ ალბათ ზღაპრული ეგონებოდათ ცხაკაიელებს.

ახლა რაიონში აღარავინ წუწუნებს — მეცხოველეობის ფერმები წაგების მეტს არაფერს გვაძლევს და მძიმე ტვირთად გვაწევსო. მეცხოველეობა მაღალგანვითარებულ, მომგებიან დარგად, შეძლებული ცხოვრების ერთ-ერთ წყაროდ იქცა.

მეცხოველეობის განვითარებისა და სპეციალიზაციის პერსპექტივები უფრო შორსაც მიდის. ამჟამად სწრაფი ტემპით შენდება ხბოების გამოსაზრდელი კიდევ ერთი კომპლექსი, სადაც თავს მოიყრიან რაიონის ყველა მეურნეობის ოცდღიანი ხბოები. საფუძველი ჩაეყარა სასუქი განყოფილების კაპიტალურ ფერმას, სადაც ერთდროულად 600 სული საქონელი გასუქდება. გადაწყვეტილია კიდევ ერთი ასეთი მოცულობის ფერმის მშენებლობა, რითაც რაიონი საბოლოოდ დაამთავრებს საზოგადოებრივი მეცხოველეობის სრული სპეციალიზაციის დასახულ პროგრამას.

კურსი, რომელსაც რაიონი ადგას, სრულიად არ ნიშნავს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მეცხოველეობისადმი ყურადღების შენელებას. პირიქით, ბევრ მეურნეობას დაეკისრა მეცხოველეობის მთელი რიგი პროდუქტების წარმოების გადიდება. მათ ააშენეს სანიმუშო ფერმები, ზოგი მშენებლობის პროცესშია, რეკონსტრუქცია ჩაუტარეს ძველ სადგომებს. შორს არ არის ის დრო, როცა ყველა მეურნეობას ექნება თანამედროვე ფერმა ძროხების იმ რაოდენობისათვის, რასაც პერსპექტიული გეგმა ითვალისწინებს.



ზუსტი გაანგარიშება.

ელექტრონული ბიბლიოთეკა

ხორცის წარმოების გადიდებაში დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე მეღორეობის ინტენსიურ განვითარებას. უკანასკნელი წლების მანძილზე ბევრი რამ გაკეთდა ღორის ხორცის წარმოებაში პროგრესული ტექნოლოგიის დასანერგად. ძველი სენაკის მეღორეობის ჯიშთსანაშენე საბჭოთა მეურნეობაში შეიქმნა მეღორეობის დიდი საწარმო 300 ქუბისათვის. ეს იმდენია, რამდენიც ძველსენაკელებს აქამდე მთლიანად ჰყავდათ. ღორის კოლტი ახლო ხანში აქ ორჯერ და მეტად გაიზრდება. მეღორეობის კომპლექსს ხშენებს მეცხოველეობის სამეურნეობათაშორისო გაერთიანებაც. ამავე დროს, ხორცის წარმოების გადიდების ეს ძვირფასი დარგი რჩება ყველა მეურნეობაში, ახალი ფერმების მშენებლობის, მოქმედი ფერმების რეკონსტრუქციის ბაზაზე მეღორეობა თანმიმდევრულად გადაგვყავს ინდუსტრიულ საფუძველზე.



გასეირნება.

თარხან არჩვაძის ფოტო.



მშენებლობაზე.



მალე დაიზრდებიან.

სამეგრელო ძველთაგანვე განთქმულია თავისი ქათმით. ახლა ყველა საშუალებებს ვუყრით თავს ფრინველის ხორცის წარმოების გასადიდებლად. სამიოდე წლის წინათ გეჯეთში მწყობრში ჩადგა მეფრინველეობის სანაშენე რეპროდუქტორი, რომელიც სრული დატვირთვით მუშაობს და 50 ათასი ფრთა მოქცეული ჰყავს. ეს არის ერთ-ერთი სანიმუშო საწარმო, რომელსაც უნარიანად მართავს სასოფლო-სამეურნეო წარმოების გერგილიანი ორგანიზატორი ოთარ შალამბერიძე. ფაბრიკა გეგმის ზევით იძლევა ბევრ კვერცხსა და ხორცს ახლო ხანში ამოქმედდება გაერთიანება „რაიცხოველმრეწვის“ სახორცე წიწილების გამოსაზრდელი ფაბრიკაც. რაიონში აღიზარდა მეფრინველეთა შესანიშნავი თაობები. მაგალითად, ჯიშთსანაშენე მეფრინველეობის რეპროდუქტორის ბრიგადა, რომელსაც დოდო მამულია ხელმძღვანელობს, ახლა იმაზე მეტ ფრინველს უვლის, ვიდრე ამ რამდენიმე წლის წინათ რაიონის ყველა ფერმაში ჰყავდათ.

რაიონის მეურნეობის წამყვანი დარგია ჩაი. ხუთწლედის განვლილ ორ წელიწადში გეგმის ზევით ჩაის ფაბრიკებს ჩაბარდა 3.500 ტონა „მწვანე ოქრო“. წელს სახელმწიფოს 10 ათასი ტონა ჩაის ფოთოლი ჩავაბარეთ და გეგმას დიდად გადავაჭარბეთ. ბევრმა მეჩაიემ წარმატებით დაამთავრა ხუთწლედის მიჯნები. კვლავ სხვებისთვის მაგალითის მიმცემია სოციალისტური შრომის გმირი ტატიანა ტყებუჩავა. მას მხრებზე უკვე ექვს ათეულ წელზე მეტი აწევს, მაგრამ წლებს ვერაფერი დაუკლია ზანელი მეჩაიესათვის, ხალისი და მხნეობა ისევ ახალგაზრდული აქვს. სეზონში უკვე 12 ტონაზე მეტი ჩაის ფოთოლი მოკრიფა. ეს დაახლოებით 30 მილიონზე მეტი ფოთოლია, ანუ 60 ათასი 50 გრამიანი სურნელოვანი ქართული ჩაი! სასახელოდ შრომობს აგრეთვე საქვეყნოდ აღიარებული ფოცხოელი მეჩაიე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ციალა წოდია. იგი დღეში ზოგჯერ ას კილოგრამ ფოთოლს კრეფს. თუ რაოდენ მძიმეა მეჩაიეთა შრომა, ამის ნათელსაყოფად საკმარისია ითქვას, რომ ერთ წამში იკრიფება ხუთი მოვერცხლისფრო-მწვანე ყლორტი, ერთ წუთში ეს ციფრი სამასამდე იზრდება. ასი კილოგრამი ჩაის მოკრეფაზე კი უნდა შესრულდეს, სულ ცოტა, 200 ათასი სწრაფი მოძრაობა.

ვინ მოთვლის მთლიანად ჩვენი პლანტაციების გმირთა სახელებს? ისინი ბევრნი არიან. ყოველი მათგანი თავდადებით იბრძვის ხუთწლედის დავალებათა პირნათლად შესასრულებლად.

სამეგრელოს სიმინდის მხარესაც უწოდებენ. იოლი საქმე როდია, წელს ბელელში შვიდი ათას ტონამდე სიმინდის მარცვალი უნდა დავაბინაოთ. ასეც იქნება! მართალია, ამინდები მეტად ჭირვეული იყო, მაგრამ მაინც იმარჯვეს მესიმინდეებმა, დროზე დათესეს, თავდადებული შრომით გაანე-

▶

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

დროშა

№ 9 (501). სექტემბერი, 1978 წ.

ჟურნალი გამოდის 1923 წლიდან

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

© „დროშა“, 1978.

ეროვნული ბიბლიოთეკა







მთავარი რედაქტორი
რევაზ მარგიანი

სარედაქციო კოლეგია:
გულნარა ბახტაძე,
თენგიზ გოგოლაძე (პ/მგ. მდივანი),
ოთარ დემეტრაშვილი,
გურამ დოჩანაშვილი,
სერგო დურმიშიძე,
დინარა ნოდია (მხატვარი-რედაქტორი),
ლადო სულაბერიძე,
ილია ტაბაღუა,
უჩა ჯაფარიძე.

ბევრს „მინდვრის დედოფალი". ბევრი მესიმინდე ჰექტარზე 100 ცენტნერსაც არ დაჯერდება. მარცვლეულის რესურსებს ვავსებთ სოიითაც, რომელიც პირუტყვის ძვირფასი საკვებია. მისი მარცვალი მდიდარია ცილებით, ცხიმებითა და ნახშირწყლებით. 10 ცენტნერი სოია ამ თვისებებით უდრის 40 ცენტნერ ხორბალს. წელს მივიღებთ 1.000 ტონაზე მეტ სოიას.

ვენახი, ციტრუსოვანთა ბაღი, ხეხილი, აბრეშუმი, ეთერზეთები, — აი კიდევ ჩვენი სიმდიდრის წყარო. შეგვიძლია თამამად განვაცხადოთ, რომ ყველა აღნიშნული დარგი დღეისათვის უკვე მომგებიანია.

რაიონის მიღწევებს ნათლად ასახავს აგრეთვე საგულისხმო ციფრები: მეცხრე ხუთწლედის პირველ ორ წელს საზოგადოებრივმა მეურნეობებმა აწარმოეს 17,2 მილიონი მანეთის სოფლის მეურნეობის პროდუქტები. მეათე ხუთწლედის ამავე წლებში ეს თანხა 11 მილიონი მანეთით გაიზარდა. მკვეთრად იმატა მოგებამ, რენტაბელობამ და შრომის ანაზღაურებამ. ეს წარმატებანი იმის შედეგიაა, რომ მნიშვნელოვნად განმტკიცდა მეურნეობათა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ფართოდ ინერგება კომპლექსური მექანიზაცია და ქიმიზაცია, ხორციელდება მელიორაციის ფართო პროგრამა.

— რას გვეტყვით რაიონის სამრეწველო ინდუსტრიაზე?

— ცხაკაია რესპუბლიკაში იქცა ერთ-ერთ ინდუსტრიულ ქალაქად. თავად განსაჯეთ, მეათე ხუთწლედის მესამე წელს ჩვენი ქალაქი სამშობლოს მისცემს 60 მილიონამდე მანეთის სამრეწველო პროდუქციას.

რაიონის მრეწველობის ფლაგმანია ხალიჩების კომბინატი. მის მიერ გამოშვებულ ოთხი არტიკულის ხალიჩას წელს მიეკუთვნა ხარისხის სახელმწიფო ნიშანი. ამჟამად კომბინატი ცხრა სახის ნაწარმს უშვებს ხუთკუთხედოვანი ემბლემით. საწარმო მუდამ გადამეტებით ასრულებს პროდუქციის გამოშვებისა და რეალიზაციის გეგმებს, ცხაკაიის ხალიჩებზე დიდი მოთხოვნილებაა მოძმე უკრაინაში, შუა აზიაში, ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში.

მსოფლიოს რამდენიმე ქვეყანაში იგზავნება ცხაკაიას ჩაის ფაბრიკების ნაწარმი — შავი და მწვანე ბაიხის ჩაი. ჩვენებური ხილისა და ბოსტნეულის კონსერვების მისამართია უკიდურესი ჩრდილოეთი, ციმბირი, შორეული აღმოსავლეთი... შორს არის გასული რაიონის ყველ-კარაქის ქარხანაში დამზადებული მეგრული სულგუნის ქება...

ცხაკაიაში სამშენებლო ინდუსტრიასაც ეყრება საფუძველი. წლის ბოლოს ამოქმედდება ნოსირის რკინა-ბეტონის სამშენებლო კონსტრუქციების კომბინატი, რომელიც ერთ-ერთი უდიდესი იქნება რესპუბლიკაში. მის გრანდიოზულობაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ ერთ წელიწადში აქ გამოუშვებენ იმდენ ნაკეთობას, რომლითაც აშენდება სამი ათასზე მეტი თანამედროვე სამოთახიანი ბინა.

ფართოდ ვითარდება ადგილობრივი მრეწველობა, მშენდება რაიონული ცენტრი, კეთილმოწყობილი ხდება სოფლები. რაიონში შენდება საცხოვრებელი სახლები და ადმინისტრაციული კორპუსები, კულტურის, განათლებისა და ჯანმრთელობის კერები, საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები. ძალუმად იგრძნობა მეათე ხუთწლედის მაჯისცემის მწყობრი რიტმი.

ცხაკაია მიემართება ლენინური გზით, პარტიის მიერ ნაჩვენები სწორი გზით! წინსვლისა და აღმშენებლობის გზაზე მშრომელთა დევიზია — ყოველმხრივ გავზარდოთ წარმოება, განვამტკიცოთ ეკონომიკა, ავამაღლოთ მშრომელთა კეთილდღეობა!

# უკვდავია მათი გმირობა

(ბაქოს 26 კომისრის დახვრეტის 60 წლისთავის გამო)

ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ძლევამოსილად დაგვირგვინებით ახალი ხანა დაიწყო რუსეთის ისტორიაში. რევოლუციის ტალღები სწრაფი ტემპით გავრცელდა მთელს ჩვენს ქვეყანაში, კერძოდ, ამიერკავკასიაში. ახალი ბრძოლისათვის ამხედრდა ბაქოს პროლეტარიატი, რომელმაც 1917 წლის 31 ოქტომბერს ამიერკავკასიაში პირველმა აღმართა საბჭოთა ხელისუფლების წითელი დროშა. ბაქო გადაიქცა საბჭოთა ხელისუფლების საიმედო დასაყრდენ პუნქტად ამიერკავკასიაში. ცხადია, ამას ვერ შეურიგდებოდნენ შინაგანი კონტრრევოლუციონერები და უცხოელი ინტერვენტები.

საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებებით შეშფოთებულმა აზერბაიჯანის კონტრრევოლუციამ, მუსავატელების მეთაურობით, უცხოელ ინტერვენტთა წაქეზებით და დახმარებით, 1918 წლის მარტში მოაწყო ანტისაბჭოთა შეიარაღებული ამბოხება. ბაქოში დაიწყო ნამდვილი სამოქალაქო ომი. მაგრამ ბაქოს გმირმა რევოლუციურმა პროლეტარიატმა, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, გაანადგურა მუსავატური კონტრრევოლუცია და განამტკიცა საბჭოთა ხელისუფლება ბაქოში.

25 აპრილს ბაქოს მუშათა, ჯარისკაცთა და მატროსთა დეპუტატების საბჭომ შექმნა ბაქოს სახლხო კომისართა საბჭო, რომლის შემადგენლობაში შევიდნენ: ს. შაუმიანი (თავმჯდომარე), მ. აზიზბეკოვი, ა. ჯაფარიძე, ი. ფიოლეტოვი და სხვები. სახკომსაბჭომ გამოუშვა დეკლარაცია, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ ბაქოს სახკომსაბჭო მჭიდროდ იქნება დაკავშირებული რუსეთის მთავრობასთან და ადგილობრივ თავისებურებათა გათვალისწინებით განახორციელებს რუსეთის სახალხო კომისართა საბჭოს ყველა დეკრეტსა და განკარგულებას.

ბაქოს სახკომსაბჭომ განახორციელა მთელი რიგი ღონისძიებები, რომლებიც მიზნად ისახავდა საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებას აზერბაიჯანში.

ბაქოს სახკომსაბჭო შეუდგა წითელი არმიის ორგანიზაციას. მცირე დროში ჩამოყალიბებულ იქნა ახალი სამხედრო ნაწილები. სახკომსაბჭომ ფართო მუშაობა გაშალა აზერბაიჯანის მაზრებში. ბაქოს რევოლუციური პროლეტარიატი მთელი ამიერკავკასიის პროლეტარიატისათვის გზის მანათობელ ცოცხალ შუქურას წარმოადგენდა.

ბაქოს სახალხო კომისართა საბჭო თავის ეკონომიკურ და პოლიტიკურ ღონისძიებებს ახორციელებდა სამოქალაქო ომის მძიმე პირობებში. რუსეთის საბჭოთა მთავრობა, ვ. ი. ლენინის ხელმძღვანელობით, მას შესაძლებლობის ფარგლებში არ აკლებდა სათანადო დახმარებას. ვ. ი. ლენინი უდიდესი ყურადღებით ადევნებდა თვალყურს ბაქოში რევოლუციურ ძვრებს და რჩევა-დარიგებას აძლევდა ბაქოელ ამხანაგებს, რათა მათ სოციალისტური რევოლუციის მონაპოვართა შენარჩუნებისათვის ბრძოლაში მოემარჯვათ გონივრული მეთოდები და სწორი ტაქტიკა.

ბაქოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებებით შეშფოთებულმა აზერ-





მოწინავე მწველავი გალინა ელიზაროვა.

თივის დამზადება.

კოლმეურნეობის დროშაზე შრომის წითელი დროშის ორდენი ბრწყინავს. სამშობლოს ეს მაღალი ჯილდო სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებაში და სახელმწიფოსათვის მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის მერვე ხუთწლიანი გეგმის შესრულებაში მოპოვებული წარმატებებისათვის დაიმსახურა გორის რაიონის ტყიავის ლადო კეცხოველის სახელობის კოლმეურნეობამ.

წლებს წლები ემატება, ხუთწლედებს — ხუთწლედები. ტყიაველთა გამარჯვებებსაც ემატება გამარჯვებები, ჯილდოებს — ჯილდოები. ამ გამარჯვებათა დასტურია სოციალისტურ შეჯიბრებაში

ბაიჯანის კონტრრევოლუციამ, მუსავატელების მეთაურობით, უცხოელ ინტერვენტთა წაქეზებით და დახმარებით გააფთრებული ბრძოლა დაიწყო აზერბაიჯანში ახლად შექმნილი საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. მათ მხარში ამოუდგნენ ანტანტის იმპერიალისტები, რომლებიც ცდილობდნენ ჩაეხშოთ საბჭოთა ხელისუფლება აზერბაიჯანში, დაეპყროთ ნავთობით მდიდარი ბაქო, და ამიერკავკასია გადაექციათ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ავაზაკური ლაშქრობის პლაცდარმად.

ბაქოს სახკომსაბჭოს ენერგიული მოღვაწეობა წარმოებდა უაღრესად რთულ საშინაო და საგარეო პირობებში. ასეთ ვითარებაში თურქეთის სარდლობამ ისარგებლა იმით, რომ ამიერკავკასიის კომისარიატმა არ მიიღო ბრესტის საზავო ხელშეკრულება და 1918 წლის მეორე ნახევარში დაიწყო გერმანია-თურქეთის ჯარების შეტევა. ისინი შეიჭრნენ საქართველოსა და სომხეთში, დაიკავეს განჯა, იერიში მიიტანეს ბაქოზე. ამავე დროს შინაურმა კონტრრევოლუციამ შეუტია ქალაქს ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან. ბაქოს კომუნა დაძაბულ ბრძოლას ეწეოდა კონტრრევოლუციური ძალების წინააღმდეგ. ბაქოს სახკომსაბჭომ გამოაცხადა საყოველთაო მობილიზაცია. შეიქმნა ბაქოს წითელი არმიის ახალი ნაწილები, რომლებიც წარმატებით განაგრძობდნენ თავის ოპერაციებს მოწინააღმდეგის ძალების წინააღმდეგ. ბაქოს მუშათა კლასი გმირულად იცავდა მოპოვებულ გამარჯვებას და ბაქოს მისადგომებთან შეაჩერა გერმანია-თურქეთის ჯარების წინსვლა. მაშინ მუსავატელების დასახმარებლად თურქთა ჯარების მეთაურობამ ბაქოსთან საჩქაროდ გადმოისროლა კარგად შეიარაღებული მაშველი ძალები, რომელთა მოახლოებისას ინგლისის აგენტებმა — ესერებმა, დაშნაკებმა და მუსავატელებმა ფართო აგიტაცია გააჩაღეს ბაქოში ინგლისელი იმპერიალისტების მოწვევისათვის, თვლიდნენ რა ამას ბაქოს გადარჩენის ვითომდა ერთადერთ საშუალებად და ნაკლებ ბოროტებად.

25 ივლისს ბაქოს საბჭოს სხდომაზე ინგლისელების მოწვევის წინააღმდეგ ერთსულოვნად გაილაშქრეს ბოლშევიკმა დეპუტატებმა ს. შაუმიანისა და ა. ჯაფარიძის მეთაურობით. ისინი ემყარებოდნენ რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და ვ. ი. ლენინის მითითებებს იმპერიალისტურ სახელმწიფოებთან ყოველგვარი შეთანხმების წინააღმდეგ. ამასთან დაკავშირებით ვ. ი. ლენინმა 29 ივლისს სრულიად რუსეთის ცაკის სხდომაზე განაცხადა: „ინგლისელ და ფრანგ იმპერიალისტებთან ყოველგვარი შეთანხმების გადაჭრით უარყოფა ბაქოელი ამხანაგების ერთადერთი სწორი ნაბიჯია“. მიუხედავად ამისა, ბაქოს საბჭოს სხდომაზე ხმების უმრავლესობით გატანილი იქნა რეზოლუცია ბაქოში ინგლისელი იმპერიალისტების მოწვევის შესახებ. ამის გამო 31 ივლისს ბაქოს საბჭოს სხდომაზე სახკომსაბჭო გადადგა და ამით საბჭოთა ხელისუფლება ბაქოში დროებით დაეცა. ძალაუფლება გადავიდა ესერების, მუსავატელების, მენშევიკებისა და დაშნაკებისაგან შემდგარი კონტრრევოლუციური მთავრობის ეგრეთ წოდებული „ცენტროკასპიის დიქტატურის“ ხელში, რომლის მოწვევით 4 აგვისტოს ბაქოში ზღვიდან თავიანთი ჯარები გადმოსხეს ინგლისელმა ინტერვენტებმა, ხოლო ქალაქის დასავლეთი მისადგომები დაკავებული ჰქონდათ თურქეთის ჯარებს.

კონტრრევოლუციურმა მთავრობამ გააძლიერა რეპრესია და ტერორი ბაქოს კომუნის ხელმძღვანელი მუშაკების წინააღმდეგ. ბაქოს 26 კომისარი: ს. შაუმიანი, ა. ჯაფარიძე, გ. ყორღანოვი, ი. ფიოლეტოვი, ნ. აზიზბეკოვი, ი. ზევინი და სხვები, რომლებმაც ვერ მოასწრეს საბჭოთა ასტრახანში ევაკუაცია, დააპატიმრეს. მალე აშკარა გახდა, რომ ინგლისელთა მცირერიცხოვანმა ჯარმა ვერ შეძლო ბაქოზე გერმანია-თურქეთის ჯარების შემოტევის შეჩერება. 14 სექტემბერს თურქებმა იერიში მიიტანეს ბაქოზე, ინგლისელებმა კი ევაკუაცია დაიწყეს. ამასობაში პატიმრობას გადარჩენილმა კომუნისტებმა ბაქოს კომუნარები ციხიდან გაათავისუფლეს. ასეთ რთულ მდგომარეობაში „ცენტროკასპიის დიქტატურამ“ ნება დართო ბაქოს კომუნარებს ასტრახანში გამგზავრებულიყვნენ. ამისათვის მათ უცდიდა გემი „სევანი“ საიმედო ეკიპაჟით. მაგრამ დანიშნულ ადგილას გემი „სევანი“ არ აღმოჩნდა და 26 კომუნარი გემ „თურქმენით“ გაემგზავრა.

როგორც შემდეგში გამოირკვა, ყველაფერი ეს წინასწარ შემუშავებული გეგმით იყო მოწყობილი. გემი ინგლისელმა და თეთრგვარდიელმა ოფიცრებმა წაიყვანეს კრასნოვოდსკში, სადაც ჯერ კიდევ ინგლისელები პარპაშებდნენ. და ბაქოს 26 კომისარი ხელთ ჩაუგდეს ინგლისელ იმპერიალისტებს. რუსეთის საბჭოთა მთავრობამ არა ერთხელ მიმართა ინგლისელ სარდლობას, რათა გაენთავისუფლებინათ ბაქოელი ამხანაგები და ტყვე ინგლისელებზე გადაეცვალათ, მაგრამ ინგლისელმა იმპერიალისტებმა უარით უპასუხეს.

1918 წლის 20 სექტემბერს ღამით სადგურების პერევალსა და ახჩაკუიმას შუა ყრუ ადგილას ინგლისელმა იმპერიალისტებმა და მათმა ესერ-მენშევიკ-დაშნაკ-მუსავატელთა აგენტებმა ბაქოს 26 გმირი კომისარი მხეცურად დახვრიტეს.

კომუნიზმის საქმისათვის თავიანთ საბრძოლო პოზიციებზე გმირულად დაიღუპნენ და საბჭოთა ხელისუფლებას შესწირეს თავი ამიერკავკასიის სახელოვანმა ბოლშევიკებმა: ს. შაუმიანმა, ა. ჯაფარიძემ, მ. აზიზბეკოვმა, ი. ფიოლეტოვმა, ი. ზევინმა, გ. ყორღანოვმა, მ. ვეზიროვმა, გ. პეტროვმა, ი. მალიგინმა, ვ. პოლუხინმა, ე. ბერტმა, ფ. სოლნცევმა, ს. ოსიპიანმა, მ. ბასინმა, ა. ამირიანმა, ი. გაბიშევმა, ა. ბორიანმა, მ. კოგანმა, ბ. ავაკიანმა, ს. ბოგდანოვმა, ა. კოსტანჯიანმა, ი. მეტეხსამ, ი. მიშნემ, ი. ნიკოლაიშვილმა, ტ. ამიროვმა და კალესნიკოვმა.

ბაქოს კომისრების ბრძოლის ფაქტი გადაიქცა გმირობისა და მამაცობის, კომუნიზმის საქმისადმი უანგარო თავდადების სიმბოლოდ. მათ სიკვდილის წინ მტრებს ესროლეს ასეთი ლოზუნგი: „ჩვენ ვიხოცებით კომუნიზმისათვის, გაუმარჯოს კომუნიზმს!“

შალვა ბერუაშვილი,

ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი.

# ტყვიაველები

მოპოვებული გარდამავალი წითელი დროშები, საპატიო სიგელები, დიპლომები. ამ ძვირფას ჯილდოებს ამშვენებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა — მეათე ხუთწლედის მეორე წელს მოპოვებული წარმატებებისათვის რომ დაიმსახურა კოლმეურნეობამ.

გამარჯვებული, გულგახარებული მშრომელი კაცი ყოველთვის ახალი ენერგიით ისწრაფვის უფრო მაღალი მიჯნების დალაშქვრისათვის. ხარისხისა და ეფექტიანობის ხუთწლედის მესამე, დამკვრელური წელი რომ დაიწყო, ტყვიაველებმა იმთავითვე დამკვრელურად შეუტიეს საქმეს, ბაღებსა და ფერმებში, მინდვრებსა და ზვრებში მთელი ძალით გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება რეკორდული მაჩვენებლებისათვის. დღემდე მოპოვებული შედეგები მოწმობს, რომ ტყვიაველები წელსვე გავლენ ხუთწლედის სწორზე.

როსტოვის ოლქის სალსკის რაიონის საბჭოთა მეურნეობა „გიგანტის“ კოლექტივის პატრიოტულმა მოწოდებამ „მივცეთ სამშობლოს მინდვრებისა და ფერმების მეტი პროდუქცია“, ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის მისასალმებელმა წერილმა გიგანტელებისადმი ხუთწლედის სამ წელიწადში შესრულებისათვის საბრძოლველად აღაფრთოვანა ტყვიაველები. სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმზე ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის მოხსენებამ, პლენუმის დადგენილებამ, რომლებშიც მოცემულია ჩვენი სოფლის მეურნეობის დღევანდელი მდგომარეობის ყოველმხრივი, ღრმა, მეცნიერულად დასაბუთებული, ჭეშმარიტად ლენინური ანალიზი, დასახულია შემდგომი მუშაობის კონკრეტული გზები, ამ კეთილშობილური ამოცანის წარმატებით შესრულების რწმენა განუმტკიცა მათ.

მოხსენებაში „სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების შესახებ“ ლეონიდ ილიას ძემ განაცხადა:

— მთავარი ამოცანა, რომელსაც სოფლის მეურნეობას ვუსახავთ, ის არის, რომ მივაღწიოთ ყველა მისი დარგის ყოველმხრივ, დინამიკურ განვითარებას.

ეს მოწოდება სოფელმა საბრძოლო დევიზად გაიხადა, ეს სიტყვები ამშვენებს სოფლის ცენტრს.

ტყვიავში ამბობენ — ყველა გზა რენტაბელობისაკენ, მოწინავე პოზიციებისაკენ მიდისო. ამიერიდან ჭეშმარიტად უფრო მძლავრი, უფრო მტკიცე იქნება წინსვლის ნაბიჯები. პარტიის მოწოდების პასუხად ასე გადაწყვიტა სოფელმა. ხმა სოფლისა, ხმა ერისა კი, მოგეხსენებათ, ყოვლისშემძლეა.



ფერმაში.

ანზორ გოგოლაძის ფოტო.

# 1500 წლისაა

ჩვენი ქვეყანა ღირსებისამებრ აღნიშნავს ქართული მხატვრული მწერლობის ჩვენ დრომდის მოღწეული პირველი ბრწყინვალე ძეგლის „შუშანიკის წამების" ათასხუთას წლისთავს.

„შუშანიკის წამების" ავტორია დიდი ქართველი მწერალი-მოაზროვნე იაკობ ცურტაველი (იაკობ ხუცესი). იაკობი იყო შუშანიკის მოძღვარი, მასთან დაახლოებული პირი და მისი ცხოვრების გარემოებათა საუკეთესო მცოდნე. და, აი, იაკობ ცურტაველმა მომხიბლავი ოსტატობით აგვიწერა მისთვის ახლობელი ადამიანის ტრაგიკული ცხოვრების ნამდვილი ამბავი.

ქართლის სახელმწიფოს დიდმა მოხელემ ვარსქენ პიტიახშმა ანგარების მიზნით უარყო მამა-პაპეული ქრისტიანული სარწმუნოება, მიენდო ჩვენი ქვეყნის იმდროინდელ ძლიერ მტერს — მაზდეანურ სპარსეთს, აღიარა ცეცხლთაყვანისმცემლობა და აღუთქვა შაჰს, რომ მის რჯულზე მიაქცევდა აგრეთვე თავის ცოლ-შვილს. გახარებულმა შაჰმა ვარსქენი უხვად დააჯილდოვა და, სხვათა შორის, მეორე ცოლად უბოძა სამეფო ოჯახის წევრი ქალი (მაზდეანობა ამის უფლებას იძლეოდა). ქმრის სამარცხვინო ნაბიჯმა აღაშფოთა შუშანიკ-დედოფალი, მან მიატოვა სასახლე და ერთ მცირე სენაკში დაბინავდა შვილებთან ერთად. ვარსქენმა იუკადრისა ცოლის საქციელი, ამაოდ შეეცადა მის დაბრუნებასა და შემორიგებას. ნებაყოფლობით რომ ვერას გახდა, ძალა იხმარა, რამდენიმეჯერ მძიმე ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა დედოფალს, შემდეგ ბორკილები დაადო და ნესტიან საპყრობილეში გამოამწყვდია. წამების მეშვიდე წელს, სახელდობრ 475 წელს, შუშანიკი საშინელი ტანჯვით გარდაიცვალა.

ასეთია „შუშანიკის წამების" სქემატური შინაარსი.

ძველ საქართველოში ქრისტიანული სარწმუნოების ნიადაგზე მტკიცედ დგომა ნიშნავდა ქვეყნის ერთგულებას, დამპყრობელთა რჯულზე გადასვლა კი ობიექტურად სამშობლოს ღალატს უდრიდა. ამიტომ იყო, რომ ქრისტიანობისათვის თავდადებული პირი ეროვნული გმირის შარავანდედით იმოსებოდა და მას ჩვეულებრივ წმინდანად აცხადებდნენ ხოლმე.

შუშანიკისა და ვარსქენის უთანხმოება ერთი შეხედვით თითქოს ოჯახური დრამის ხასიათს ატარებს. ნამდვილად ეს იყო ორი პოლიტიკური მიმდინარეობის მწვავე ბრძოლით გამოწვეული კონფლიქტი. მტრის მხარეზე გადასული, გადარჯულებული ვარსქენ პიტიახში ასახიერებს ქვეყნის მოღალატე პოლიტიკურ რენეგატს, ხოლო შუშანიკი ეროვნული გმირია, რომელიც არ დაემორჩილა განდგომილი მეუღლის განაჩენს, ქედი არ მოიხარა, დედოფლის უზრუნველ ცხოვრებას მან ჯოჯოხეთური ტანჯვა და მოწამებრივი სიკვდილი ამჯობინა. ამით შუშანიკმა სულიერი მხნეობისა და მამულიშვილობის მაგალითი უჩვენა როგორც მის თანამედროვეებს, ისე შთამომავლობას.

იაკობ ცურტაველმა გამოკვეთილად, დიდი მგზნებარებითა და ფსიქოლოგიური სიმართლით დაგვიხატა ორი დაპირისპირებული ხასიათი. ეს დაპირისპირება უდევს საფუძვლად მის მშვენიერ შემოქმედებას, მის იდეურ-მხატვრულ ჩანაფიქრს. საყურადღებოა, რომ იაკობ ცურტაველი დაუფარავად გადმოგვცემს შუშანიკის ხასიათის საჩოთირო, ზოგჯერ ერთგვარად საძრახის მხარეებსაც კი. ამით იაკობი ცხადჰყოფს თავისი მწერლურ-შემოქმედებითი პირუთვნელობის სანაქებო თვისებებს. იაკობ ცურტაველის შუშანიკი სრულიადაც არ ჰგავს სასულიერო მწერლობის მიერ შაბლონად ქცეულ უსიცოცხლო

●

წინათ ტყვიავიც ვარიანივით „უტყეო და ვალიანი" იყო.

ახლა?

ახალი საბჭოთა კონსტიტუციით გაბრწყინებულ სოფელში ქალაქის ყველა სიკეთით სარგებლობს ტყვიაველი გლეხკაცი.

შარშან კოლმეურნეობის შემოსავალმა სამ მილიონ მანეთს გადააჭარბა, რენტაბელობის პროცენტმა 58,7-ს მიაღწია, ნავარაუდევი 304 ათასი მანეთის ნაცვლად კოლმეურნეობამ 821 ათასი მანეთი მოგება მიიღო, კაცდღეზე გაიცა 8 მანეთი, კოლმეურნის საშუალო თვიურმა ხელფასმა 180 მანეთს მიაღწია შვიდსაათიან სამუშაო დღეში. წელს მოგება 1,5 მილიონ მანეთს მიაღწევს, რენტაბელობის პროცენტი — 60-ს, ბუნებრივია, შრომის ანაზღაურებაც კიდევ უფრო გაიზრდება.

კოლმეურნეობის შემოსავლის ძირითადი წყარო მებაღეობაა. და ეს გასაოცარი წინსვლა უმთავრესად ხეხილის ბაღებზე ზრუნვის შედეგია. მეხილეობამ 715 ათასი მანეთი მოგება მისცა კოლმეურნეობას, ჰექტარზე საშუალოდ მიღებულია 125 ცენტნერი ხილი, 68 ცენტნერის ნაცვლად.

წინსვლისკენ ისწრაფვიან, მეათე ხუთწლედის გეგმების წარმატებით შესრულებას აახლოებენ მებაღეები. 1980 წლისათვის ტყვიავში 750 ჰექტარი ხეხილის ბაღი უნდა იყოს. დავალება ორი წლით ადრე შესრულდება. ასევე ორი წლით ადრე შესრულდება სახელმწიფოსათვის ხილის მიყიდვის ხუთწლიანი გეგმა. წელს სახელმწიფოს კოლმეურნეობიდან 6.500 ტონა ხილი მიეყიდება. ამას საკარმიდამო ნაკვეთებში დაკრეფილი 1.000 ტონა დაემატება, ამით კოლმეურნეობა „დახურავს" ამ ხუთწლედის ანგარიშს და ხუთწლედის გეგმის გადამეტებით მომდევნო ორ წელიწადს 15.000 ტონაზე მეტ ხილს შეიტანს ქვეყნის სიუხვის შექმნაში.

ტყვიაველთა ბაღებს არც სარწყავი წყალი აკლია და არც სასუქები, მავნებელ-დაავადებებიც ვერსად გაიჭაჭანებს. სიგნალს რომ მისცემენ — ბაღს საფრთხე ემუქრებაო, სოფელი ფეხზე დადგება, ყველა თავდადებული მონდომებით პატრონობს როგორც საზოგადოებრივ, ისე საკარმიდამო ბაღს.

უხვმოსავლიან ნაკვეთებს „ხელმომცემ ბაღს" ეძახიან ტყვიავში. ბაღი კი არა, ხილის საამქროა თითოეული ძირი ვაშლის ხე. სხვა რა უნდა უწოდო მას, როდესაც ერთი ძირი ხე ერთ ტონა ხილს გაძლევს! ნახევარი ტონა ხომ ჩვეულებრივი მოსავალია. ერთ ჰექტარ ბაღში ასი ასეთი „საამქრო" იწონებს თავს.

ნახეთ შემოდგომაზე ტყვიაველთა ბაღები და დარწმუნდებით, რა დიდებული მეხილეები ყავს სოფელს. სხვადასხვა ჯიშის ვაშლით სავსე ყუთებით დაიფარება ბაღები, აივსება საწყობები. თვალს მოგტაცებთ ქართული სინაპი და კეხურა, შამპანური რენეტი და ზამთრის ოქროს პარმენი...

ყველა ტყვიაველი, კაცი თუ ქალი, ხილის უხვი მოსავლის ჩინებული ოსტატია, მაგრამ, მოგეხსენებათ, ჩინებულ ოსტატებშიც გამოირჩევიან დიდოსტატებად წოდებულნი. ასეთები გახლავთ ბრიგადირები ედიშერ გიგუაშვილი, თენგიზ ხაბაზიშვილი და ვიქტორ გიგუაშვილი, კოლმეურნეები ილო გიგუაშვილი, უშანგი რაზმაძე, თეზიკო ქარელი, ეკატერინე ლაფაჩი, ნინო არჩუაძე, ჟენია კაპანაძე, თადარიგის მაიორი სტეფანე ქარელი, რომელიც კოლმეურნეობის ბაღებში და საკარმიდამო ნაკვეთში ხეხილის მოვლა-პატრონობის პირადი მაგალითით რაზმავს, აღაფრთოვანებს სოფელს. თავდაპირველად არშაკ ტერტერაშვილზე კარგი მებაღე არავინ იყო სოფელში, ამაგიც დაუფასდა, ლენინის ორდენით დაიმშვენა მკერდი. კაი ყმის შვილი გიორგი ტერტერაშვილი კოლმეურნეობის მთავარი აგრონომია — მინდვრის კარგი ტექნოლოგი.

კოლმეურნეობის წარმატებებს, განსაკუთრებით მეხილეთა გამარჯვებებს რომ იკითხავთ, ტყვიაველ-



კოლმეურნეობის თავმჯდომარე რობინზონ ჩიხლაძე (შუაში) ამოწმებს ხახვის ხარისხს.

ასკეტს, სიცოცხლის მოძულესა და სიკვდილს მონატრებულ ინერტულ „წმინდანს“. შუშანიკი იყო სიცოცხლის უზომოდ მოყვარული, მებრძოლი პატრიოტი ქალი, რომელიც აშკარად ამჟღავნებდა თავის ღრმა გულისწყრომას იმის გამო, რომ მტარვალმა ქმარმა „უჟამოდ ნაყოფნი მისნი მოისთულნა და სანთელი მისი დაშრიტა და ყუავილი მისი დააჭნო, შუენიერებამ სიკეთისა მისისაჲ დააბნელა და დიდებაჲ მისი დაამდაბლა“. შუშანიკს საიმქვეყნოდ არ მიეჩქარებოდა და არ მიუხაროდა, გული მას აქ, დედამიწაზე რჩებოდა. წამებული ქალი იმედოვნებდა, რომ ღმერთი სამაგიეროს მიუზღავდა მის უსამართლოდ მტანჯველ პიტიახშს: „განვისაჯეთ მე და ვარსქენ პიტიახში მუნ, — დიდი გულისტკივილით უთქვამს დედოფალს, — სადა იგი არა არს თუალღებაჲ (ე. ი. პირფერობა) წინაშე მსაჯულისა მის მსაჯულთაჲსა... სადა არა არს რჩევაჲ მამაკაცისა და დედაკაცისაჲ, სადა მე და მან სწორი სიტყუაჲ ვთქვათ წინაშე უფლისა“.

შუშანიკის ამ სიტყვებიდან ისიც კარგად ჩანს, რომ იგი ვერ ურიგდებოდა ქალის უუფლებო მდგომარეობას საზოგადოებასა და ოჯახში. შუშანიკი ოცნებობდა იმ დროზე, როცა ქალი და კაცი თანაბარი უფლებებით ისარებლებდნენ. რა ვუყოთ, რომ მეხუთე საუკუნის მოღვაწეს საოცნებოდ მაშინ საიქიო ცხოვრება ეჩვენებოდა. მთავარი ისაა, რომ შუშანიკი არსებითად გმობდა ამქვეყნიურ სოციალურ უსამართლობას და პრინციპულად ქალთა თავისუფლების მოსარჩლედ გამოდიოდა.

იაკობ ცურტაველის მოთხრობის ყველა პერსონაჟი (მათ შორის მეორეხარისხოვანნიც) დახატულია ნიშანდობლივი ინდივიდუალური შტრიხებით თხრობა ვითარდება დინამიკურად, მწყობრად, ლოგიკური თანამიმდევრობით, მთავარ სასიუჟეტო ხაზიდან გადაუხვევლად, გაუჭიანურებლად. თხზულების ენა ხატოვანია, გამომეტყველი, სტილი — ლაპიდარული, ფრაზები მოკლე, მოკვეთილი, მტკიცედ შეკრული, სიტყვები ეკონომიურად არის შერჩეული, ემოციურია და შინაარსობრივად მაქსიმალურად დატვირთული. თავის აზრებს ავტორი გამოთქვამს სხარტად, ნათლად და გამჭვირვალედ. ზომიერად და მოხდენილად იყენებს სხვადასხვა მხატვრულ ხერხს. სანიმუშოდ მოვიტანთ პურობის ეპიზოდს:

„და შემდგომად ორისა დღისა მოვიდა მგელი (— ვარსქენი) ტაძრად (—სასახლეში) და ჰრქუა მსახურთა თვისთა: „დღეს მე და ჯოჯიკ და ცოლმან მისმან ერთად პური ვჭამოთ. ხოლო სხუასა ნუ ვის უფლიედ ჩუენ თანა შემოსლვად“. და რაჟამს შემწუხრდა (შეღამდა), მოუწოდეს ცოლსა ჯოჯიკისსა და ინებეს ერთად პურისა ჭამაჲ, რაჲთამცა მოიყვანეს წმიდაჲ შუშანიკცა. და ვითარცა მოიწია ჟამი პურისაჲ, შემოვიდეს ჯოჯიკ და ცოლი მისი წინაშე წმიდისა შუშანიკისა, რაჲთამცა მასცა აჭამეს პური, რამეთუ ყოველნი იგი დღენი უზმასა (უჭმელად) გარდაევლნეს. და ვითარცა მეტად აიძულეს და ძალით წარიყვანეს ტაძრად (სასახლეში), ხოლო [illegible] არა [illegible] ხოლო ცოლმან ჯოჯიკისმან მიართუა ღვინოჲ ჭიქითა და აიძულებდა მას, რაჲთამცა იგი ხოლო შესუა. ჰრქუა მას წმიდამან შუშანიკ რისხვით: „ოდეს ყოფილ არს აქამომდე, თუმცა მამათა და დედათა ერთად ეჭამა პური? და განყარა ხელი და ჰკრა ჭიქაჲ იგი პირსა შეალეწა და ღვინოჲ იგი დაითხია.

მაშინ იწყო უჯეროსა გინებად ვარსქენ და ფერხითა თვისითა დასთრგუნვიდა მას; და აღიღო ასტამი, და ეხეთქნა მას თავსა, და ჩაჰფლა, და თუალი ერთი დაუბუშტა; და მჯიღითა სცემდა პირსა მისსა უწყალოდ და თმითა მიმოითრევდა; ვითარცა მხეცი მძვინვარე ყიოდა და იზახდა ვითარცა ცოფი... და აგინებდა ვარქსენ თესლ-ტომსა მისსა და სახლისა მაოხრებელად სახელსდებდა მას. და უბრძანა შეკრვაჲ და ბორკილთა შესხმაჲ ფერხთა მისთა“.

საუცხოოა „შუშანიკის წამების“ ცოცხალი დიალოგები. ერთი სიტყვით, იაკობ ცურტაველი მხატვრული თხრობისა და მხატვრული სიტყვის დახელოვნებული მაღალი რანგის ოსტატია, ნამდვილად დახვეწილი მხატვრული გემოვნების დიდი მხატვარი და დიდი მოაზროვნე. „შუშანიკის წამების“ მაღალიდეური და მაღალმხატვრული ღირსებანი, რასაკვირველია, იმის უტყუარი საბუთიც არის, რომ ეს დიდებული ძეგლი ქართული მწერლობის განვითარების სწორედ მაღალ საფეხურს გამოხატავს და არა მის საწყის ფაზას.

„შუშანიკის წამება“ გვიმტკიცებს, რომ ქართული მწერლობის სათავეები შორეულ წარსულშია საძიებელი, ჩვენი წელთაღრიცხვის მიღმა საუკუნეებში.

ალექსანდრე ბარამიძე

ლები პირველ რიგში პიმენ ჩიხლაძეს დაგისახელებენ. მისი თავკაცობის პერიოდში გაშენდა ვრცელი ბაღები.

ამაგდარი თავკაცი უეცრად რომ გარდაიცვალა, სოფელმა წინამძღვრობა მის ძმას ინჟინერ-მექანიზატორს რობინზონ ჩიხლაძეს მიანდო და არც შეცდა. სიუხვის ბერკეტების — მექანიზაციის, მიწების მელიორაციისა და ქიმიზაციის დიდი მეგობარია სოფლის თავკაცი. სწორედ ამ მეგობრობამ შეუწყო ხელი ყველა დარგის დაწინაურებას, რენტაბელობას.

●

დამკვრელურ წელიწადს მოწეული მოსავლით ეფექტიანობისა და ხარისხის ხუთწლედის მიჯნებს გადალახავენ აგრეთვე მემინდვრეებიც და მეზვრეებიც, მეცხოველეებიც და მებოსტნეებიც. აბრეშუმის პარკის ჩაბარების ხუთწლიანი გეგმის შესრულებას დააკლდება მცირეოდენი, თორემ კოლმეურნეობა ყველა მაჩვენებლით, როგორც აღვნიშნეთ, წელსვე გავა ხუთწლედის სწორზე.

ჩინებულად მოვლილ ზვრებში წელს 200 ტონა ყურძენი მაინც დაიკრიფება. მეზვრეები ამით დააგვირგვინებენ ხუთწლიანი გეგმის შესრულებას.

მებოსტნეებმა შარშან 100 ჰექტარზე გეგმით გათვალისწინებული 1.000 ტონის ნაცვლად 1.923 ტონა მაღალხარისხოვანი ხახვი მოიწიეს. ნათესი ფართობის გაუდიდებლად ხახვის წარმოება წელს 2.200 ტონას მიაღწევს. მებოსტნეებიც ხუთწლიანი გეგმის სამ წელიწადში შესრულებას უპატაკებენ სამშობლოს.

მებოსტნეობაში წარმატებას კოლმეურნეობა რაიონში განხორციელებულ სამეურნეობათაშორისო სპეციალიზაციას უმადლის. ახლა ტყვიავში მხოლოდ ხახვს აწარმოებენ და რეკორდულ მაჩვენებლებსაც აღწევენ.

მარცვლეულის ჩაბარების ხუთწლიან გეგმასაც სამ წელიწადში შეასრულებს ტყვიავის კოლმეურნეობა. მართალია, სიმინდს, ხორბალსა და ლობიოს დიდ ფართობებზე არ თესავენ, მაგრამ ჰექტარობრივი მოსავლიანობის გადიდებით პირნათლად იხდიან ვალდებულებას სახელმწიფოს წინაშე.

და რაც ყველაზე შთამბეჭდავია, ყველაზე მნიშვნელოვანია, საზოგადოებრივ მეცხოველეობასაც შეაქვს წვლილი კოლმეურნეობის რენტაბელობაში. დარგი რენტაბელობის გზას დაადგა, საზოგადოებრივი მეცხოველეობაც მძლავრი ნაბიჯებით ვითარდება და საკარმიდამოც. წლევანდელი ვალდებულებების წარმატებით შესრულებით კოლმეურნეობა უზრუნველყოფს სახელმწიფოსათვის ხორცისა და რძის მიყიდვის ხუთწლიანი გეგმის სამ წელიწადში შესრულებას.

ტყვიაველებს უყვართ ანგარიში, უყვართ ვალდებულებით ნაკისრი მრავალნიშნა ციფრების ფრთების შესხმა. მათ გულდასმით იანგარიშეს, ყველა რეზერვი და შესაძლებლობა გულდასმით აწონ-დაწონეს და გადაწყვიტეს ხუთწლედის ბოლო ორ წელიწადში გარდა 15.000 ტონა ხილისა, ხუთწლიანი გეგმის გადამეტებით ქვეყნის სიუხვის თასში შეიტანონ:

4.000 ტონა ხახვი,

1.5000 ტონა მარცვლეული,

150 ტონა ხორცი,

400 ტონა რძე,

350 ტონა ყურძენი.

ეს ციფრები კომენტარს აღარ საჭიროებს. ვფიქრობთ, ტყვიაველთა კარგ საქმეებზე ყველაზე შთამბეჭდავად, ყველაზე ხატოვნად ციფრები მეტყველებენ.

დავით ქათამაძე



ხბორებთან.

სოფელ ტყვიავის ცენტრი





# ნოდარ დუმბაძე 50



ი. ანდრონიკოვი და ნ. დუმბაძე.

ცნობილ ქართველ მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს ნოდარ დუმბაძეს ორმოცდაათი წელი შეუსრულდა!

საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში გაწეული ღვაწლისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით მწერალი ნოდარ დუმბაძე დაჯილდოვდა ოქტომბრის რევოლუციის ორდენით.

ჟურნალ „დროშის" კოლექტივი, სარედაქციო კოლეგია და მრავალრიცხოვანი მკითხველი ჩვენს უახლოეს თანამშრომელს — ნოდარ დუმბაძეს სულითა და გულით ულოცავს ამ დიდ ჯილდოს, უსურვებს ხანგრძლივ სიცოცხლეს და კიდევ მრავალ შემოქმედებით წარმატებას ქართული კულტურის საკეთილდღეოდ.



ნ. დუმბაძე, კ. სიმონოვი და კ. კალაძე მოსკოვში.

# როცა ასეთი სიყვარულია

ჩვენ მაშინ 22-25 წლისანი ვიყავით. ელგუჯა მაღრაძემ („ნიანგის" მაშინდელმა რედაქტორმა), უნივერსიტეტდამთავრებულებს თავისთან რედაქციაში მოგვიყარა თავი. ჩვენს გარდა ჟურნალის გარშემო რამდენიმე ახალგაზრდა შემოიკრიბა. ელგუჯა მაღრაძე, ნოდარ დუმბაძე, მოსე ქარჩავა, გარი მეტრეველი, ნოდარ მალაზონია, ნოდარ ჩხეიძე, ედიშერ ყიფიანი, გურამ ფანჯიკიძე, გიგლა ფირცხალავა, დიმიტრი ერისთავი, ზურაბ წერეთელი, ჯემალ ლოლუა... აი, ვისი სახელები და ნიჭი გაბრწყინდა პირველად მაშინ ჟურნალის ფურცლებზე.

ვცხოვრობდით ბედნიერ ოჯახად. საწუხრო ცოტა გვქონდა, სიხარულს ერთი თხილის გულივით ვიყოფდით ყველანი.

ბედნიერად გრძნობდა თავს ნოდარ დუმბაძე — დედა შინ ჰყავდა და პატარა ბიჭივით მზეს შეჰხაროდა..,

ათი წლის წადი ოჯახს, შვილის ფერებას, მასზე ზრუნვას დანატრებული დედა მალიმალ რეკავდა რედაქციაში.

— როგორ ხარ, ბიჭო? ბავშვები ხომ კარგად არიან? დღეს ქარია, თავზე თუ გახურავს! კომპოტი მოგიხარშე, ისეთია რომ... ხომ გამოივლი, დედა, სამსახურიდან ჩემთან?.

— კი დედა, კი შენი ჭირიმე, კაი, ჩემო დედა, იცოდე, კომპოტი ჩემს მეტს არავის აჭამო! მოვფრინავ, დედა!..

თუ დედა შვილს სამსახურში ვერ დაიგულებდა, მე მიმიხმობდა ტელეფონთან. ახლაც ჩამესმის მისი ტკბილი დარბაისლური ქართული.

— შვილო, მაპატიე რომ გაწუხებთ, ჩემი ნოდარი ხომ კარგად არის? ახალი რა არის თქვენთან?!

ახალი და გასახარელი ამბავი კი იმდენი მქონდა სათქმელი დედისთვის... ნოდარ დუმბაძე იმხანად იყო რომ მწიფდებოდა, ღვინდებოდა, როგორც მწერალი. ჩვენს გაზეთებსა და ჟურნალებში იბეჭდებოდა მისი იუმორისტული მოთხრობები, ფელეტონები, საბავშვო ლექსები და ნოდარ დუმბაძე ხალხში თესავდა სითბოს, სიყვარულს.., არ იყო ისეთი დღე, რომ მწერალს მკითხველისგან მადლობის წერილი არ მიეღო.

ნოდარ დუმბაძეს ეძახდნენ გამომცემლობაში, თხოვდნენ შეეკრიბა მოთხრობები და დასასტამბად მიეტანა. ეძახდნენ კინოსტუდიაში, თხოვდნენ კინოსცენარი დაეწერა, უხმობდნენ კომკავშირის ცეკაში, უწყობდნენ შეხვედრებს სკოლაში, უმაღლეს სასწავლებლებში და მეც ამას სათითაოდ ჩავუმარცვლავდი ხოლმე ქალბატონ ანიკოს.

— ახლა ბატონმა ვახტანგმა დაურეკა, ვახტანგ ჭელიძემ, რაღაც სასიხარულო ამბავი უთხრა. „ციskარში" გავარდა.

— გაგახაროს, შვილო, ღმერთმა! — მეტყოდა იგი.

... ერთხელ, ნოდარ ჩხეიძემ უნივერსიტეტში ხელფასი აიღო და, როგორც ყოველთვის, მთელი ფული წიგნებში გააბნია. სხვა წიგნებთან ერთად მან იყიდა კოლდუელის შესანიშნავი ნაწარმოები „ბიჭი ჯორჯიიდან". რედაქციაში ჩვენთან მოარბენინა, ნოდარ დუმბაძეს მისცა და სთხოვა, სასწრაფოდ წაეკითხა, რადგანაც დარწმუნებული იყო, რომ მას ეს მოთხრობა ძლიერ მოეწონებოდა.

მართლაც, ამ მშვენიერმა მოთხრობამ შთააგონა ნოდარ დუმბაძეს დაეწერა რომანი „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი". მკითხველს ახსოვს ჟურნალ „ცისკარში" გამოქვეყნებულმა ამ რომანმა რა სწრაფად მოიხვეჭა პოპულარობა. მალე წიგნადაც დაიბეჭდა.

რომანი მაშინვე დაიტაცეს კინოს, თეატრის რეჟისორებმა. გიგა ლორთქიფანიძემ ავტორთან ერთად ერთ კვირაში გაასცენიურა მოთხრობა და სულ მალე კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრში შედგა ნ. დუმბაძის პიესის „მე, ბებია, ილიკო და ილარიონის" პრემიერა.

ეს იყო ქართული თეატრის ზეიმი; ეს იყო ნოდარ დუმბაძის, მისი მეგობრების ზეიმი.

მახსოვს, ედიშერ ყიფიანი მისთვის ჩვეული კეთილი ღიმილით როგორი ბედნიერი მიმოდიოდა თეატრის ვესტიბიულში.

იმ ღამეს ნოდარ დუმბაძის წარმატება ყველა მისმა ახლობელმა გაიზიარა. პრემიერას მხოლოდ დეიდა ანიკო არ დასწრებია.

— ნოდარ, სად არის დედა?

—ლეილასთან! — მითხრა მან.

ნოდარის და — ექიმი ლეილა დუმბაძე მაშინ ტყვარჩელში მუშაობდა.

— მერე, არ შეატყობინე?

— არა.

— რატომ?

— არ ვიცი... რატომ ვაწვალო, ჩემო დაიკ? წიგნი ხომ წაიკითხა, ჩამოვა და ნახავს, სად გაიქცევა მარჯანიშვილის თეატრი?!

... შთაბეჭდილებით თავბრუდახვეულს დიდხანს არ დამეძინა, თვალწინ მედგა სცენაზე გაცოცხლებული რომანის გმირთა ბრწყინვალე გალერეა — ხესილია თაყაიშვილი — ბებია, ალექსანდრე ჟორჟოლიანი — ილიკო, გრიგოლ კოსტავა — ილარიონი, ლეო ანთაძე — ზურიკელა. მესმოდა ტაში, გაუთავებელი ოვაციები, სცენაზე ვხედავდი გაცისკროვნებულ ნოდარს, მიხაკებით ხელში..,

არა, მე ჩემ დედას ამ სიხარულს ვერ მოვაკლებდი...

და უცებ მომეჩვენა რომ ტელეფონმა დარეკა, დეიდა ანიკომ დამიძახა და შემეკითხა.

— რა არის, ჩემო გოგო, ახალი?!

დავჯექი და დაწვრილებით ავწერე ყველაფერი, ზეიმი სცენაზე, დარბაზში, როგორ გაიხარა მაყურებელმა, არც ის გამომრჩენია სცენაზე მთავრობის წარმომადგენლები რომ ავიდნენ და მწერალს გამარჯვება მიულოცეს.

წერილი იმლამესვე გავგზავნე ტყვარჩელში. ერთი კვირის შემდეგ ფოსტალიონმა ბარათი გადმომცა, დავხედე კონვერტს: ბარათის ავტორი ანიკო ბახტაძე გახლდათ.

„ჩემო კარგო გულიკო! — მწერდა იგი, — რომ იცოდე, როგორ გაგვახარა შენმა წერილმა მე და ლეილა. მადლობელი ვარ, შვილო, ყურადღებისათვის, მადლობელი ვარ, ასე რომ გიყვარს ჩემი ნოდარი, ასე გახარებს მისი წარმატება... სიხარული და ბედნიერება ნუ მოეშალოს შენს ოჯახს. რაც შეეხება იმას, რომ მან არ შემატყობინა პრემიერის დღე, მე მესმის მისი. შეეშინდა მაგ გლახას! ეშინია ჩემი, ბესო ჟღენტზე მეტად ჩემი ეშინია, მაგრამ სად დამემალება?! მალე ჩამოვალ და მის დაუპატიჟებლადაც ვნახავ, ჩემო გოგო, სპექტაკლს"...

ქალბატონმა ანიკომ თბილისში ჩამოსვლისთანავე თავის მეგობარ ქალებთან ერთად თეატრს მიაშურა, წარმოდგენას დაესწრო. რამდენიმე დღის შემდეგ იგი უნივერსიტეტში მოვიდა, უნივერსიტეტში იმ დღეს ნოდარ დუმბაძის რომანის „მე, ბებია, ილიკო და ილარიონის" განხილვა ეწყობოდა.

კლუბში ტევა არ იყო, იჭაურობა პროფესორ-მასწავლებლებით, სტუდენტებით გაჭედილიყო. სიტყვაში გამოსულები მწერალს უქებდნენ თხრობას, მახვილგონიერებას, ცოცხალ ენას, იუმორს, სხარტ დიალოგებს. ეს იყო ნოდარ დუმბაძის აღიარება, ხალხის პატივისცემის, სიყვარულის გამოხატულება, რაც მწერალმა მკითხველის გულში დათესა.

ქალბატონი ანიკო ჩემ წინ იჯდა. იგი თითოეულ გამომსვლელს მისჩერებოდა და ცრემლი ჩამოსდიოდა.

— დეიდა ანიკო, ტირით? სატირელი რა გაქვთ? მითხრეს, თქვენ თეატრშიც გიტირიათ, ნუ, ჩემო დეიდა ანიკო! — ვამშვიდებდი მე.

მან ჩანთიდან ცხვირსახოცი ამოიღო, თვალებზე მიიფარა და თქვა:

—მეშინია, შვილო... რამდენი ტანჯვა გადამხდომია თავს, რამდენი ტკივილი მიგემია, რამდენი შიმშილი, წუხრვილი განმიცდია — ყველაფრისთვის გამიძლია. ყველაფერი ასატანია. ამის გაძლება კი ძალზე ძნელია — როგორ უყვარს ხალხს ჩემი ნოდარი! ო, ამ სიყვარულს რა გაფრთხილება უნდა, შვილო.., ვშიშობ, ვშიშობ, დედა... გაუძლებს კი ხალხის ასეთ სიყვარულს ჩემი ნოდარი?!

გულნარა ბახტაძე

# ფიროსმანი, ანუ ღვინის განცხადება

## კრწანისი, ანუ კომპოზიცია კონტრაპუნქტით

სურათის დაახლოებით შუაში, მისი დიაგონალების გადაჯვარედინებაზე, ერთმანეთს ორი დაქანებული ბორცვი ეგებება, რომლებსაც ტყე, მარცხნივ სიღრმეში სახლი და, მის მახლობლად, ეკლესია აყოლილა. ჩვენსკენ კლაკნილად მოყვითალო გზა და თეთრი ნაკადული მოემართება. მათი შეერთების წერტილიდან მარაოდ გადაშლილა ხეთა კენწეროები და ზეცა. ამავე ამოსავალი წერტილიდან იმპულსი სურათის ოთხსავე კუთხისაკენ მიემართება.

ნაწარმოები უცნაურად, მკვეთრად იყოფა ორად. ზემოთ შავ მუშამბას ხალებავი არ შეხებია. ღრუბელთა ორ მწკრივს შორის მიცურავს თეთრი მთვარე.

უვითელ გზასთან საქეიფოდ ორი მაგიდა შეუერთებიათ. გრძელი სუფრის გასწვრივ შვიდი მოქეიფე ჩამწკრივებულა, სუფრის თავში კი თამადა ამდგარა და ყანწით ხელში სადღეგრძელოს წარმოთქვამს. ოღონდ შეგრძნება კი ისეთია, თითქოს ამ უზვ სუფრას გაცილებით მეტი მოქეიფე მისჯდომია. ყანწიანი თამადიდან მოყოლებული, გარმონივით გადაიშლება ქეიფი.

ორი მეზურნე და ერთიც მედოლე მოქეიფეთა ყურს აამებენ. ოფიციანტს მორიგი კერძი — ტიკივით გადაყირავებული მოხარშული ქათამი — მოაქვს.

ციფრობრივი ორგანიზებულობა სურათის მუსიკალურ საყრდენს ქმნის.

შემხვედრ მოძრაობას გავავლოთ თვალი. წინა პლანზე ორი საგანი პირდაპირ ბალახზე დაუდგიათ: ესენია გადმოყირავებული ტიკი და ღვინის დოქი. ტიკი სუფრის მარცხენა ნახევრის წინ არის, დოქი კი — მარჯვნივ.

ამრიგად, ერთმანეთს ხვდება ორი მაგიდა, დოქი და ტიკი, და სუფრის თავში — თამადისა და მის გვერდით მსხდომი მოქეიფის ყანწები. ორ ყანწს ქვემოთ, თითქმის გვერდიგვერდ მაგიდაზე ორი ღვინის ბოთლი დგას, ერთი მეორისაკენ ოდნავ დახრილი. დანარჩენი ბოთლები ერთმანეთისაგან დაუშორებიათ. მაშ ეს ორი ბოთლი ყანწთა შემხვედრ მოძრაობას უსვამს ხაზს. ეს წვრილმანი შემთხვევითი როდია: ბოთლები უშუალოდ ორ ყანწს ქვემოთაა გამოსახული, ისევე როგორც მაგიდების ქვემოთ ტიკი და დოქია სათანადოდ შეწყვილებული.

ხოლო სუფრაზე ჩამწკრივებული დანარჩენი ბოთლები მოქეიფეთა გამოსახულებათა შორის ერთგვარ პაუზებს წარმოშობს.

დუქნის სახურავქვეშ, საიდანაც ღვინო მოაქვთ, მედუქნე დამდგარა. დახლთან თეთრწინსაფრიანი მოხელე ჩამომდგარა. ორივე ფიგურას სახურავის დაქანებული წითელი ფერდობი აერთიანებს.

ეტლით ორი მოქეიფე სწვევიათ. მათსა და წყვილ თეთრ ცხენებს შორის კოფოზე მეეტლე შესკუპებულა, ისევე როგორც მოქეიფეთა შორის ჩამწკრივებული ბოთლები.

შორიდან, ორი ერთმანეთთან მიტანილი ყანწი, გვერდი-გვერდ მდგარი ბოთლები, ერთად მიდგმული მაგიდების ფეხები, ტიკი და დოქი...

გარდა ამისა, ციფრი სამიც სერავს მთელს კომპოზიციას და ორიანთან ერთად ამ ნაწარმოების ერთგვარ

შინაგან კონტრაპუნქტს ქმნის. მართლაც, სურათის მარჯვენა ნაწილში სამი მუსიკოსი კრავს კომპოზიციას, როგორც მარცხნივ — კერძის მიმტანი. სამი და ერთი. უფრო მოშორებით კი სამი მოქეიფის წინ ერთი მეარღნე ჩამომჯდარა ტაბურეტზე.

შეფარდებით ერთი სამზე მაგიდის წინ ბალახზე დაცლილი ბოთლები დაუყრიათ. სამი ბოთლი ერთი მიმართულებით დაწოლილა, მეოთხე კი — მათ საპირისპიროდ (ასევე უპირისპირდება სუფრასთან მიმჯდარ მოქეიფეებს ფეხზე მდგომი თამადა).

კახური ღვინო ქეიფის სცენას თავის შეფერილობას ანიჭებს: წითელი ხელსახოცებზე, მოქეიფეთა მხარზე გადაგდებულ ხელსახოცებზე, თეთრ ყანწებზე არეკლილა. თეთრისა და წითლის შეხამება განაზოგადებს ქეიფის განწყობილებას.

ცენტრალურ პერსონაჟს წითელი მონასმი დაუჭერია ხელში. სუფრაზე წითელი კახური ღვინით სავსე სასმისები რომ არა, გაგვიჭირდებოდა იმის ამოცნობა, რომ ეს წითელი მონასმიც ღვინით სავსე ჭიქაა.

თავის განზოგადებაში ფიროსმანი თამამად უხმობს ამგვარ კოლორისტულ სიმბოლოებს. ასეთ შემთხვევებში მისი „მიამიტი“ მუზა ხელს უწვდის აბსტრაქციას.

## ალაზნის ველი

სამყაროს ფართე აღქმის, პანორამული ჩვენების სურვილი ისეთი ყაიდის ქმნილებებში ვლინდება, როგორიცაა „ალაზნის ველი“, რომელსაც ყოვლის მომწესრიგებელი მხატვრის თვალი აერთიანებს.

სამმაგია ალაზნის ველის კომპოზიცია. მის სამ კარედს შეადგენენ: მოქეიფე თავადები; სოფელი სიღრმეში და გზაზე მიმავალი გლეხები თეთრი ნანგრევების, მთისა და პროცესიის ფონზე; ეკლესიის მახლობლად, კლდის ჩრდილში ნაჩვენები გაძარცვის სცენა.

სიხარულის, შრომისა და უბედურების პაემანი.

ალაზნის ველზე ხალხური სიბრძნის ცალკეულ თემათა შერწყმა პოლიფონიას წარმოშობს. მთლიანის აღქმა ცალკეული ნაწილებისა და ფრაგმენტების ათვისებას გულისხმობს.

სამი თავადი თითქოს ვილაცის მიერ მომზადებულ პანთომიმაში გარინდებულა. ასე გგონია, ერთ-ერთმა მათგანმა თუ პოზა გამოიცვალა, სხვებიც მას მიბაძავენ.

თამადა მხოლოდ ოდნავ მიუბრუნდა თანამოქეიფეებს, მისი თვალები, უფრო საზრიანი და მიწიერი, სუფრულ ლოცვაში ჩაძირულა. თამადის ოდნავ გაბრაზებული მზერა სადღაც განზე ეძებს ადრესატს. სადღეგრძელოს პროეცირება სივრცეში ხდება.

სამ პერსონაჟს შემოურკალავს სუფრის სივრცე. გაორკეცებულ რკალს უბრუნებენ მოქეიფეებს შოთი პურები. ყოველივე გარინდებულა მათი შეუღლებული რკალის მიღმა. უხმოდ გაწოლილა უჩვეულოდ გაშეშებული სულდაღეული თევზი, ყალყზე დამდგარა ტიკი.

სცენის სიმძიმის ცენტრი მამაკაცთა სამი ფიგურის წინაა საგულვებელი, იქ, სადაც ბალახზე სუფრა გაუშლიათ. სწორედ რომ სუფრაზე დამკვიდრდება ის იდუმალებით სავსე რიტუალი, რასაც ყველა ემსახურება.

ამიტომაა შემოფარგლული ეს სივრცე: მარცხნივ ყალყზე დამდგარი ტიკით და მოქეიფეებისკენ დახრილი ხის ტოტებით, რაიც სურათს კიდევ ერთ დამატებით ვერტიკალურ რკალს მატებს. მთელი სცენა თითქოს ფრჩხილებშია მოთავსებული: ჩვენს პირდაპირ შოთი პურის ორი მომცრო რკალისა და მათი მოპასუხე მოქეიფეთა დიდი რკალით, მარცხნივ კი — ხსენებული ტიკითა და ხის ტანით გავლებული.

ქეიფის დასაწყისია აღბეჭდილი. საჭმელი შერჩევით დაუდვიათ სუფრაზე და ხელუხლებელიცაა.

უთუოდ, შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ ამ თავისებური შერწყმული ტრიპტიქის ცენტრში შრომის სცენა აღმოჩნდა. შრომა გამოყოფილია ფიროსმანის მსოფლაღქმაში. სურათის ცენტრალური ნაწილი ყველაზე მეტადაა დატვირთული დეტალებითა და პერსონაჟებით. შრომა ადამიანებისა და მათი ენერგიის მობილიზაციას ახდენს.

სიღრმეში სკასავით მოჩანს კრამიტით გადახურული ქვის პატარ-პატარა სახლების გროვა. დაბიდან მაყურებლისაკენ შარა გზაზე ორთვალები მოემართება. ორთვალებში მჭიდროდ ჩამჯდარან ადამიანები. თვალი თავსაფრიან გლეხის ქალებს გამოჰყოფს. წისქვილის ზღურბლზე მეწისქვილე გამოსულა. წისქვილს ხურჯინგადაკიდებული ორი სახედარი და სამი გლეხი უახლოვდება. მოშორებით მაღლობზე სახლთა ნანგრევები ჩანს. თეთრებში გამოწყობილ ქალს ჯვარი მოაქვს. გორის ფერხთით ეკლესიისაკენ პროცესია მიემართება. ეს პროცესია ამზადებს ტრიპტიქის მესამე—რელიგიური ხასიათის — ნაწილის აღქმას. მთის ფერდობზე ცხვრის ფარა შეფენილა.

„ფრჩხილებში მოთავსებული“ თავადების ქეიფის გარდა, საერთო მოძრაობა მარჯვნივ, თეთრი ეკლესიისკენ მიემართება, საიდანაც ზარების რეკვა გაისმის და სადაც მგზავრს ყაჩაღები დასხმია თავს. გაძარცულის ცხენი ბალახსა ძოვს და სრულ გულგრილობას იჩენს ადამიანებისა და მათი ანგარიშსწორების მიმართ. გაძარცულის საშველად ორმა ხიშტიანმა ჯარისკაცმა მიაშურა.

პირდაპირი და მიამიტი დიდაქტიკის წყალობით, უსინდისობისა და ძალმომრეობის წინააღმდეგ შრომა და რწმენა გაერთიანებულა. ძალადობას ფიროსმანისეულმა ფერწერამ ბორცვი ამოაფარა. გეგონება, ეს ბორცვი მხატვრის ფუნჯის მოქნევით აღმოცენდაო. მის ჩრდილში, დღისით-მზისით შეიარაღებული ყაჩაღები შეუიარაღებელ მგზავრს ძარცვავენ.

შავ-თეთრი რეპროდუქციით სამი მოქეიფე თავადის ტანსაცმელი იდენტურია, ფერში კი იგი სამ განსხვავებულ კომპონენტს შეიცავს.

წითლის პოლარიზაცია სუფრაზე დადებულ ბოლოკის კონაში, მოხარშული ქათმის ვარდისფერში ხდება. საგნები და საჭმელი პირველყოფილად გაშიშვლებულია. თეფშები არაა. გარდა დოქში ჩასხმული ღვინისა და მარილით სავსე სამარილისა, ყოველივე სუფრაზეა დადებული: თევზი, ორი შოთი პური, ქათამი, ბოლოკის კონა. არც დანა-ჩანგალია, ხოლო მისართმევად გაუმზადებელი საჭმელი ნატურმორტიდან ჩამოღებული გეგონება: ბოლოკის კონა თითქოს გასაყიდადაა შეკრული, თევზი გაუჭრელია, პური — გაუტეხელი, ერთადერთი ქათამი გაუბდღვნიათ.

მარილისთვის ადგილი სუფრის შუაგულშია გამოყოფილი. მარილი სუფრის დამამშვენებელ ძირითად სამეულში შედის, მის გარდა პურსა და ღვინოს რომ შეიცავს. ვინაიდან ქართველი კაცისთვის გულუხვი ადამიანი პურ-მარილიანია და პურმარილი ქეიფის ცნებასაც გადმოგვცემს, ბუნებრივია, რომ პურსაც და მარილსაც პატივით გარემოსილებს ვხვდებით. მარილს ორივე მხრიდან შოთი პურები იცავს.

საჭმელი იმ ვარაუდით კი არ გამოუტანიათ, რომ მოქეიფეთა მოთხოვნილება დააკმაყოფილონ, არამედ წარმომადგენლობითობის პრინციპიდან გამომდინარე: ერთი თევზი, ორი პური... ასე გასინჯეთ, ერთი პურიც შეიძლებოდა ყოფილიყო. მაგრამ მხატვარს ამგვარად გადაუწყვეტია და შოთი პურების რაოდენობა ხშირ შემთხვევაში ფერწერული კომპოზიციის რიტმს განსაზღვრავს ხოლმე. ამრიგად, პურთა რაოდენობიდან გამომდინარე, შეიძლება ფიროსმანისეული ფერწერის მეტრიკის დადგენა, სადაც შოთი პური ტერფის მაგივრობას გვიწევს.

სადღეგრძელოს სიტყვების მეშვეობით, სუფრიდან ამაღლებული სითეთრე მოქეიფეთა გარშემო რძისფერ ფარდას ქმნის, ზემოთ [illegible] რომ აზიდავს ცის მოცისფერო სილურჯეს, რომელიც მარტოოდენ მოქეიფეთა ფაფახებს წვერსა ჰბანს, ხოლო მათ მხრებზე თითქოს ნაბადი წამოუფარებიათ. მოქეიფეთა ფერხთით და მათ ზურგსუკან ორი რძისფერი სუფრა იშლება უსასრულობამდე.

## ორთაჭალელი ტურფა მარაოთი

ჯანსავსე და მკერდმოღერებული, თავისუფლად ჩამოშვებული ლურჯი კაბით და ხელში მომარჯვებული მარაოთი, ორთაჭალელი ტურფა რაღაცით მინდვრად გაშვებულ ხბოს გაგონებთ, მისი მარაო კი — ფარშევანგის გაშლილ ფრთას.

ქალის თვითდაჯერებული სიამაყე, გარინდებული თვალი და აზიდული წარბი მის ბუნებრივ მორთულობად გამოიყურება. გაშლილი მარაოთი ლამაზმანი სახეს როდი იგრილებს. მას თითქოს გადაავიწყდა კიდეც მარაო, ინერციით რომ აპობს ჰაერს და მის ქალურობას განამტკიცებს.

ორთაჭალელ ლამაზმანზე უხვი ფერადი ლაქები შეკრულა: კაბის ლურჯი მასა, კოფტის სითეთრე, ღაჟღაჟა ლოყები, მკერდსა და მარაოზე გაბატონებული ვარდისფერი. მარაო ნივთად შენიღბული მისი სხეულის ნაწილია. თითქოს ცერიც შერწყმია მარაოს.

სიცოცხლის ტრფიალი აგრეთვე ქერა თმის ხშირ, დაუოკებლად ჩამოდენილ ნაკადშიც აისახა. აუჩქარებლად და აღუშფოთებლად, თითქოს მარადიული არსებობა უწერიაო, ორთაჭალელი ქალი იმას ელოდება, რომ სიცოცხლე თვითონ მიაკითხავს და თავის ზეიმზე მიიწვევს. მან თავისი მომხიბლაობის ამბავი იცის და ბუნებით მონიჭებულ ეშხს დასჯერებია.

ლურჯი კაბის გასწვრივ ნახევრად მოუღუნავს მკლავი, თითები ბლუჯად შეუკრებია და გეგონება სიცოცხლეს უხმობს, რათა წამი იხელთოს და ხელის გულზე დაატყვევოს წუთისოფელი. თავის მხრივ ოქროს სამაჯურიც ეკვრის ხელს. სირბილი უკუქცევით: სიცოცხლე სილამაზეს დასდევნებია, სილამაზე კი — სიცოცხლეს.

სუფთა ტონების შეჯახებით, უფსკრულის პირას კვლავ აღორძინდება უცერემონიო ჰარმონია. გაშიშვლებულ ფერს ახლად მოწყვეტილი ხილის გემო გაჰყვება.

**გასტონ ბუაჩიძე**



მოწინავე მექანიზატორი მზია ქარდავა.

თარხან არჩვაძის ფოტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა







ეროვნული ბიბლიოთეკა

# კახეთის ფერები

თარხან არჩვაძის ფოტო.













# გიორგი თოთიბაძე



ქალის პორტრეტი.



რომი.

რომი.



პრაღა.



# ლექსები

## ლადო სულაბერიძე

### ასპინძის ველზე

ასპინძის ველზე დავდგი კარავი,
ასპინძის ველზე ცხენი ჭიხვინებს.
ბრიალა ცეცხლზე დავწვი წკვარამი,
ხეები ნისლს არ შევაჭირხლინე.

ასპინძის ველზე დავდგი კარავი,
შავი ღრუბლები მთებზე შევრეკე.
ცეცხლთან გავათბე დამფრთხალი კრავი,
და ველოდები მეფე ერეკლეს.

ატმებზე სხედან ოქრო-ჩიტები
და ნისკარტებით ხეთქავენ კვირტებს.
იძინეთ, სპანო, გულდამშვიდებით,
ვარვარა ალთან ღამეებს გითევთ.

თქვენს ხმლებს დავაწყობ, როგორც სტრიქონებს,
ხმლებზე შეღერილ ლექსად იქცევით.
თეთრფაფრიანი ჩამოიქროლებს,
მერანი ჟამთა მოქცევ-მიქცევის.

ბრიალა ალზე დავწვი წკვარამი,
მთვარისკენ ვისვრი ცეცხლოვან ბურთებს.
ასპინძის ველზე დავდგი კარავი
და მამულის ხპას კელაპტრებს ვუნთებ.

### ბავშვები თოვლზე

ნაკვერჩხლებივით გაგორდნენ
თოვლზე ბავშვები,
და აშიშინდნენ... და აშიშინდნენ...
მთიდან ჩამოსკდა ზოდები
თეთრ ბათქაშების,
და არ შეშინდე... და არ შეშინდე...
წამოიკიდეს მხრებზე ზამთარი.
ხურმაზე დამჭკნარ მარცვლებს
ეძებენ შაშვები.
ტყეს მიეფარა თეთრი აფთარი,
ნაკვერჩხლებივით გაგორდნენ
თოვლზე ბავშვები.

### თოჯინა

ასეთი არის თოჯინას ბედი, —
ათამაშებენ ბავშვები, მერე
იღვიძებს სული მშობელი დედის,
თოჯინას კაბის გაყინულ ფერებს
აუთრთოლდებათ უეცრად ფრთები,
მიასკდებიან ჭერსა და კედლებს.
და მერე გზნებით, დედური გზნებით,
შეუყვარდებათ თოჯინაც დედებს.
და თოჯინებიც მღერიან, წერენ...
ოჯახის სული თიხაში შედის.
ბავშვები ხელს რომ ახლებენ, მერე
ასეთი არის თოჯინას ბედი.

### გზები

ალაგ-ალაგ ხმლებივით
ერთურთს ეჯახებიან.
გაყრილი ნაპერწკლები
ციცინათელებია.

ზოგზე წვიმა თქარუნობს,
ზოგსაც თოვლი ათოვს.
ილულუნე, მგზავრულო,
მგზავრი მიდის მარტო.

მდინარესთან დაღლილი,
ზოგი ელის ბორანს.
ზოგი წყაროს ღარივით
დაჰკიდვია გორაკს.

ზოგთან — ნაეზოვარი,
მაღლა ზეცა ღრუბლობს.
ზოგზე მიჰქრის მსტოვარი,
ზოგზე მიაქვთ კუბო.

ზოგთან — ვაზი მსხმოიარე,
ზოგთან — ხევი ვიწრო.
ზოგი მე თვით მოვიარე,
ზოგს მე თვითონ ვიცნობ.

ალაგ-ალაგ ხმლებივით
ერთურთს ეჯახებიან.
გაყრილი ნაპერწკლები
ციცინათელებია.

### სპილო

ვსვამთ მზიურ ღვინოს
სპილოს ძვლის ჯამით,
ვაკეთებთ ძვლისგან ნივთებს საოცრებს.
მოუვა სპილოს სიკვდილის ჟამი
და თვითონ მიდის სასაფლაოზე.

ძვლისგან საჭრეთლით
ვთლით ღმერთს თუ ეშმას,
თოჯინებს,
კერპებს,
განცხრომის ნივთებს.
რომ წამოვიღოთ ვეება ეშვი,
სასაფლაოსკენ სპილოს გზას მივდევთ.

მოუვა როცა სიკვდილის ჟამი,
სასაფლაოზე თვით მიდის სპილო.
გვიტოვებს ძვლებს და
მერე ჩვენ ჯამის
და თოჯინების გამოთლას ვცდილობთ.

### გზაგასაყართან

ნეტავი ისე გაიხარჯა
ვინმე, არვინ არ ჰყვარებია?
როგორ თელავდა, აბა, მინდვრებს
მუხნარიანს, არყნარებიანს?!

როგორა გრძნობდა ცვრის სიგრილეს,
ეკლის ჩხვლეტას, სხმარტალს ელვისას?
ნუთუ ღრუბელი არ დაწვიმდა
ინდოსი თუ ხატაელისა?!

როგორ ცხოვრობდა?! რასა იქმნდა?!
მამულს როგორ სცემდა თაყვანსა?!
სიკვდილ-სიცოცხლის როგორ მიდგა
თავზარდამცემ გზაგასაყართან?!.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ცხელ-ცხელი ამბები

## პირუტყვის სადგომი

ესტონელმა სპეციალისტებმა შექმნეს პირუტყვისათვის მოხერხებული სადგომების კომპლექსი, რომელშიც შენობები თბება... კედლებით.

რკინა-ბეტონის კედლებში ჩამონტაჟებული ელექტროსათბუნებლებით შენობაში იცავენ პირუტყვისათვის საჭირო სითბოს.

ასეთ სადგომებში პირუტყვი შესამჩნევად ლაღდება, ნაკლებად ავადდება, სწრაფად იმატებს წონაში.

## უძველესი იარაღი

გზის მშენებლობის დროს ბულდოზერმა ტაჯიკეთში, ჰისარის დაბლობზე მიწიდან ამოყარა სხვადასხვა სახის უცნაური ქვის იარაღი.

სწავლულებმა დაადგინეს, რომ ეს იარაღები ადამიანებმა დაამზადეს... 40 000 წლის წინათ.

აღსანიშნავია ისიც, რომ აღნიშნულ ადგილებში დღემდე მიუკვლეველი იყო პირველყოფილი ადამიანის სადგომი.

## მდიდარი ფონოტეკა

რუსთავის მუსიკალური სკოლის მასწავლებლის მ. მოწონელიძის პირადი ფონოტეკა ერთ-ერთი უმდიდრესია მთელს ჩვენს ქვეყანაში.

ფონოტეკა შედგება 15 ათასზე მეტი სხვადასხვა ეპოქის ინსტრუმენტალური და ვოკალური ნაწარმოებების ჩანაწერებისაგან. მათ შორის არის 100-მდე ოპერა, 400-ზე მეტი სიმფონიური ნაწარმოები.

კოლექციონერი მასწავლებელი ხშირად გამოდის ლექციით მუსიკის შესახებ. თავის საუბრებში იგი ფართოდ იყენებს ფონოტეკის ჩანაწერებს.

## ჯანმრთელობის ახალი კერა

რევოლუციამდე თურქმენეთში არ იყო არც ერთი სახელმწიფო სამედიცინო დაწესებულება.

რესპუბლიკაში ამჟამად მოქმედებს ორი ათასზე მეტი სამედიცინო ობიექტი.

ამას წინათ აშხაბადში გაიხსნა უმსხვილესი სამკურნალო ცენტრი, რომელიც მხოლოდ ბავშვების ჯანმრთელობის დაცვას ემსახურება. სამკურნალო ცენტრი აღჭურვილია ყოველგვარი სახის თანამედროვე საუკეთესო სამედიცინო აპარატურით.

## უავარიოდ

თბილისელი გ. ხაჩიბაბოვი შეიძლება ითქვას, რომ ყველაზე სტაჟიანი შოფერია საბჭოთა კავშირში.

იგი ავტომანქანის საჭეს პირველად მიუჯდა... 1913 წელს.

დღემდე შემონახული დოკუმენტების მიხედვით დგინდება, რომ ხაჩიბაბოვი მართავდა შემდეგ მსუბუქ ავტომანქანებს: „რენოს“, „ფორდს“, „ამოს“, „ნამის“, „ამ-1“-ს, „ზისს“, „ვილისს“, „პობედას“, „მოსკვიჩს“, „ვოლგას“, ვინ მოთვლის კიდევ რამდენ სხვადასხვა მარკის ავტობუსსა და სატვირთო მანქანას.

ყველა ამ მანქანით ხაჩიბაბოვმა სამ მილიონ კილომეტრზე მეტი გაიარა. ამ მანძილის გავლით შეიძლება ითქვას, რომ მან 75-ჯერ შემოუარა დედამიწას.

აღსანიშნავია ისიც, რომ გ. ხაჩიბაბოვს არც ერთი ავარია არ მოსვლია.

იგი ამჟამად 85 წლისაა.

# ᲬᲔ ᲐᲜᲐᲧᲝᲕᲝ...

ოტია იოსელიანი

მოთხრობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

— გულქანდა, დედა, გულქანდა შვილო! — გადმოდგებოდა ძველი სახლის მესამე სართულიდან დეიდა ევლნასი და ხელისგულისტოლა ეზოში აჟრიამულებული ბავშვები გაისუსებოდნენ, თითქოს წიწილებს თეთრმა ქორმა გადაუქროლაო, — სადა ხარ? რატომ გაუჩნდი დედაშენს! გულქანდა, გოგო, არ გესმის?!

გულქანდა ჩათუნთულებული, წითელლოყება დომფალა გოგო, ცივწყალგადასხმულივით შეკრთებოდა და თვალით დასამალავს დაუწყებდა ძებნას. ამოდენა ჩასუქებული გოგოს დასამალავი ახლომახლო არაფერი იყო და რომც ყოფილიყო, სანამ ის ამას თავს მოაბამდა, დედამისი მესამე სართულიდან ჩამოასწრებდა. მუდამ ასე იყო, გულქანდა ერთხანს დააცეცებდა თვალებს, ბოლოს მაინც ფეხს ვერ მოიცვლიდა და სადაც ეს ძახილი მიუსწრებდა, იქვე დაეყუდებოდა — არც გარბოდა და იმალებოდა, არც პასუხობდა, არც ტოლ-მეგობრები ეთმობოდა.

ფაშფაშა ევლნასი სირმაშეცვეთილი ქოშებით ეზოში ჩამოვარდებოდა და ქალიშვილს მაჯაში ხელს ჩაავლებდა. დომფალა აეთრევინებოდა, მაგრამ უხმოდ, დედა კი „სახარებას" უკითხავდა:

— ამათ უყურებ, გოგო, შენ? შენისთანა მეორე არ უნდა იყოს ამ არემარეზე, ვის უტოლებ თავს?! ამ გასაწყვეტლებს? წამოდი, წამოდი, რომ გელაპარაკები მე შენ! გამოადგი ფეხი! ჭამე?!. ვითომ ჰო, მარა კიდევ ჭამე, დაჯექი, იმეცადინე, წერე და იკითხე!.. მე წაგიკითხავ. ეჰ, მე უბედურს სად მყავდა პატრონი, თუ არა შენხელობაზე თითით საჩვენებელი ვიყავი...

სადარბაზოში თვალს მიეფარებოდნენ და ეზოში ბავშვები ახხრიალდებოდნენ. გულქანდა კიბის საფეხურს ფეხს მიასობდა და ევლნასი გაცეცხლდებოდა.

— ვაი, ვაი, დედალვთისა გაუწყრათ მაგათ დედებს! პატრონი ჰყავთ ახლა მაგათ? ბავშვს დასმის მეტი თუ რამე უნდა, არ გონიათ. ქალმა რომ ანაბანა არ იცის, რად უნდა იმას შვილი. წამოდი, დედა, მე ზეპირად გეტყვი შენს გაკვეთილებს...

პაპანაქება სიცხეში კი არა, გვარიანადაც რომ აგრილდებოდა, მაშინაც ღია ფანჯრებში უყვარდა დეიდა ევლნასის შვილის სწავლება, ცოტა ხმამაღლადაც კი. რას იზამ, ყველას თავისი მეთოდი აქვს!

მართალია, გულქანდას კბილა უდედო ბუხუტი ვიწრო ქუჩის მეორე მხარეს ცხოვრობდა, მაგრამ ვექილ ვახუშტი კოტორაშვილის ბინას ფანჯრები ეზოს მხარეზეც ჰქონდა და გზასაც გადაჰყურებდა.

ევლნასი არ ტყუოდა.

ბუხუტის მამამ ანბანი ძლივს იცოდა და სახანძრო რაზმში მუშაობდა რიგით მეხანძრედ. ბიჭს არავინ უჩიჩინებდა, შენი ფასი ქვეყანაზე არავინ უნდა იყოსო. მამა თუ მორიგე იყო, ბუხუტი დალამებამდე ბავშვებთან თამაშობდა. სალამოს იჯდა მარტოდმარტო, კედელზე დედის გადიდებულ სურათს თვალმიშტერებული და გაკვეთილებს ამზადებდა. როცა მეხანძრე შინ იყო, თითო-ოროლა სიტყვას ძლივს იტყოდა, „რავაა, ბაბა, საქმე?" თავზე უშველებელ ტორს დაადებდა, გაშლილ რვეულში ჩახედავდა და ამოიხვნეშებდა: „აბა, შენ იციო". მეოთხედის ბოლოს ნიშნების გამოცხადებაზე თუ მორიგეობა არ უწევდა, მშობელთა კრებას დაესწრებოდა, თუ არადა მორიგეობის გაცვლა ან სამსახურიდან განთავისუფლება არასოდეს უცდია.

გულქანდა როგორც ბავშვებთან თამაშში, ისე სწავლაში უნდილი, გაუბედავი გოგო იყო, არც ეშმაკობა შეეძლო, არც თავის გამოჩენა. თუ რაიმე იცოდა, მაშინაც მატრაკვეცა ფრიადოსნებივით მასწავლებელს თვალებში ხელს არ ჩრიდა. არითმეტიკის გაკვეთილზე ბოლო მერხზე სევდიანი და მოწყენილი „იმალებოდა". ბავშვები იმასაც კი ჰკითხავდნენ: დომფალა, ორჯერ ორი რამდენიაო, ასჯერ რომ ეკითხათ, ასჯერვე გაგულისდებოდა, გაწითლდებოდა, მაგრამ ხმას არ ამოიღებდა. საკონტროლო წერაზე „დასამალავს" რომ ვერ პოულობდა, გაშეშდებოდა და დაფაზე დაწერილი ამოცანის პირობას მიაშტერდებოდა. ბუხუტი თავისთვის ვერა და გულქანდასთვის ყოველთვის ასწრებდა გამოყვანას. იცოდა, მას ცუდი ნიშნისთვის ყურებს არავინ დააგლეჯდა და საწყალ გოგოს კი სახლში აღარ მიესვლებოდა... არა და, დომფალას არითმეტიკის ინჩიბინჩი არ გაეგებოდა და ეცოდებოდა. ლექსს დაიზეპირებდა, თარიღებს დაიმახსოვრებდა, რუსული ესმოდა, უცხო ენას გაიზუთხავდა, ალგებრა-გეომეტრიისათვის არ იყო გაჩენილი და რა ექნა? ალგებრა-გეომეტრია, სხვათა შორის, არც დეიდა ევლნასიმ იცოდა. ომის დროს და ომის შემდეგაც კარგა ხანს მასწავლებლების დაქირავება და კერძოდ მომზადება არავის გაეგონა.

საშინაო რვეულით გულქანდა პირველად ბუხუტის ნახევრად სარდაფი ოთახის კარებს რომ მოადგა, იფიქრებდით, იმაზე უსასოო და უბედური ქვეყნად არ დაბადებულაო. ბუხუტი, სანამ სტუმარს კარს გაუღებდა, ფანჯარას ეცა, დომფალა დედამისს გამოეპარა, ეგონა. მესამე სართულიდან დეიდა ევლნასი დაზაფრულივით მიჩერებოდა გზაგადმოღმა ტროტუარის პირა ორ მტვრიან სარკმელს და ჩარბებს იჭამდა.

მეხანძრის უქალო ოჯახი არც მეზობელს ჭირდებოდა და არც მტერ-მოყვარეს.

ბუხუტის, გულქანდას გარდა, სკოლაშიც არავინ თხოვდა დახმარებას. იგი არავის ახსოვდა ამ გოგოს მეტს და არავისთვის შეეძლო რაიმე სარგებლობა მოეტანა. ზღურბლზე მომდგარმა საშველად ხელგამოწვდილმა ვექილის ქალიშვილმა ბიჭი თავის თავში დააჯერა და გაახარა. კარები, რა თქმა უნდა, ყურთამდე მოაღო და ამის შემდეგ კაცმა არ იცის, რომელი უფრო მადლობელი იყო: გულქანდა უანგარო მეგობრული დახმარებისათვის, თუ ბუხუტი იმ რწმენის სიხარულისათვის, რომელიც ამ გოგოს ყოველდღე მოჰქონდა. მას მერე ბიჭს გართობის დრო აღარ ჰქონდა, ის უპირატესობა თუ ნდობა, რაც მას მიანიჭეს, საქმედ უნდა ექცია. ვიწრო ქუჩის გადაღმა სახლის მესამე სართულიდან დაღვრემილი დეიდა ევლნასი თვალს არ აცილებდა და ქვედა ტუჩი კბილით ეჭირა, თუ ვექილის ოჯახის დამცირება მაშინვე ნაყოფს არ გამოიღებდა, ქალიშვილის სათამაშოდ და სალაზბუცოდ დროს არავინ დააკარგვინებდა.

ბუხუტის სხვა საზრუნავი და თავსაცემი რა ჰქონდა და ამ მეზობლის დომფალა გოგოს ზედ გადაეგო. მარტო მათემატიკა კი არა სხვა საგნებიც... რასაც არავინ თხოვდა, ისიც თავს იდვა. გულქანდა კი მთლად დამოკიდებული და საპყარი გახდა, ახლა ამ მეზობელს და მეგობარს ათრევინა და აკითხა „სახარება". ბუხუტისათვის ყოველივე ეს თანდათან ყოველდღიურ აუცილებელ ცხოვრებად იქცა და ღმერთს ნუ ექნა, კოტორაშვილებს ჭკუა დაეკარგათ და მეცნიერებისათვის უნიათო შვილისთვის სწავლაზე ხელი აეღებინებინათ, ამას ვაჟი უკვე ცოცხალი თავით ვერ შეურიგდებოდა.

დრო, მოგეხსენებათ, აულაგმავი ბედაურივით მიჭენაობს. კოტორაშვილების ძვალმსხვილ, ნაპატიებ დომფალას სწავლაში უჭირდა, თორემ ჯანი და სისხლი ჭარბად ჰქონდა და სკოლის მერხზე სხვა გოგოებზე ადრე დააწყო სამოთხის ვაშლები. ერთ გაზაფხულზე თვალსა და ხელს შუა შეიცვალა, გალამაზდა და ისედაც ვიწრო, პრიალა, წითელ კოპლებიან კაბაში აღარ დაეტია. ამ დონდლო, მოწყენილ გოგოს დომფალა ზედმეტსახელად შერჩა, თორემ ერთ წელიწადში ხორცსავსე, ყირმიზა, სანდომიან ქალიშვილად იქცა.

საშუალოს დამთავრების გამოსაშვებ საღამოზე სუფრა რომ აირია, გულქანდამ ბუხუტის პირდაპირ ჩაავლო ხელი და გაიტაცა. რიყრაყამდე ატარა ბნელ ქუჩებსა და ჩიხებში, მწვანე ბაღებსა და მდელოებში... ბოლოს მდინარის პირა ხრამებში ცივ ლოდზე დასვა, გვერდით მიუჯდა და იმდენი კოცნა, კინაღამ შემოეჭამა. ქალიშვილი ალტაცებული იყო, საშუალოს თუ დაამთავრებდა, ოცნებითაც ვერ წარმოედგინა და ამ ბედნიერების მიზეზი უნდოდა ხელის გულზე ეტარებინა. ბუხუტიც ბედის კმაყოფილი იყო, რომ მისი მეგობრული მოვალეობა ასე ძვირად დაუფასდა — ამ გოგოსთვის რომ მართლა თავი გადავდო ღირს, ერთგულებით მაინც გადამიხდისო.

„შენ რომ არა, უსწავლელი და უბედური უნდა დავრჩენილიყავი, შენ რომ არა მყოლოდი, უიმედო და უმწეო ვიქნებოდი. შენა ხარ ჩემი მფარველი და კეთილი ანგელოზი, შენა ხარ ჩემი მხსნელი, გზის მანათობელი"...

უკოცნიდა შუბლს, თვალებს, ყურებს, კისერს... რაღა თქმა უნდა, ეს მარტო მადლიერების გრძნობა არ იყო. ამ კანში დაუტევარ სიცოცხლეს ალერსი ჰაერივით სჭირდებოდა. მადლობას აბრალებდა და რაც სასიკეთო და საალერსო იცოდა, აბოდებდა — ვაჟს ორივე ხელით თავს უჭერდა და საულვაშეზე ახლად აშლილ ღინღლს, თითქოს ალისფერი რაში ლორთქო ბალახს ძოვსო, ცხელი ტუჩებით ნთქავდა...

გაგლიჯა ადიდებულმა მდინარემ ჯებირი და წალეკა ქვეყანა...

ღმერთო, რა ბედნიერია ზოგჯერ ადამიანი!

მერეც, როცა გამოცდებისათვის ემზადებოდნენ, გულქანდას შეეძლო ბუხუტის ბუსუსებიან წვრილი კისრის მალებში აღმოეჩინა რაღაც უჩინო ხალი, ცას სწეოდა, სიხარულით ალტაცებულს ვაჟი კალთაში ჩაესვა, ზურგით მიესრისა თავის თანთალა მკერდზე და მთელი თავ-კისერი დაეკოცნა.

აზავთებულმა ქალიშვილმა თავიდანვე გაასწრო ვაჟს, ალერსის სადავეები ხელთ იგდო და ბუხუტი მხოლოდ პარტნიორის როლს დასჯერდა. ალერსს ყოველთვის ქალი იწყებდა და გულის მოჯერებამდე თავის ნება-სურვილზე დაატარებდა. ვაჟს არასოდეს უკმარობის გრძნობას არ უტოვებდა, რომ სხვა დროს მასაც გაჩენოდა წყურვილი და თავისი სურვილით დაწაფებოდა. ბუხუტი, მართლაც, იმდენს აკეთებდა, თუ გულქანდაში იყო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭარბად მადლიერების გრძნობა, მუდამ პოულობ-და საბაბს ცხელი ამბორისათვის.

სახანძრო რაზმელები სამ დღეში ერთი დღე-ღამე მორიგეობდნენ და როცა მამა შინ არ იყო, იმ დღეს დომფალა თავის „კეთილ ანგელოზს" ედე-მის ბაღში ხელისგულზე დაატარებდა. დანარჩენი ორი დღე კი ბუხუტიმ იმდენი უჩიჩინა და იმდენი უტენა თავში მეცნიერება, მართალია, იმ წელს თვითონ ინსტიტუტის გარეთ დარჩა, მაგრამ გულ-ქანდა ჩაირიცხა. ბუხუტი რომ მოწყობილიყო ისე არ გაახარებდა, როგორც ის, რომ მან თავისთავზე ნაკლები იზრუნა, ვინემ საყვარელ ადამიანზე. ეს უნდოდა ისედაც ცეცხლადქცეულ გოგოს?! მთლად გაშიშვლდა: „შენი ვარ, შენთვის მოვკვდებიო"...

ბუხუტის საქმე სხვაგვარად იყო: უდედოს, ერ-თი ზოზროხა ცხოვრებაზე ხელჩაქნეული მამის ამარა, ნახევრად სარდაფში გამომწყვდეულ ბიჭს ბევრი რამ ჰქონდა გასაკეთებელი, სხვა რომ არა-ფერი, ჯერ უნდა ესწავლა... ეს, ალბათ, გული სა-გულეს რომ ჰქონდა, იმიტომაც იყო, მომავალზე ფიქრობდა და თავის გაჭირვებას ხედავდა. ქალის ცხელ ალერსს გულგრილად პასუხობდა, უფრო იმიტომ, რომ ცეცხლზე ნავთი არ დაესხა და ხან-ძარი არ გაეჩინა. მან ქალისა და თავისი საფიქრა-ლი ორივე იტვირთა და გულჩათხრობილი გაზდა. გულქანდამ ორივეს სიყვარული და ალერსი ითავა და კოცონად აგიზგიზდა.

ჟამთასვლას მოწყენილობა და სევდაც ვერ აოკებს და სიყვარულსა და სიხარულში ხომ დრო თვალის დახამხამებაა.

თანდათან საქმე იქამდე მივიდა, ამ აბრიალებულ ცეცხლზე წყლის დასხმაც გახდა საჭირო, რომ ჩა-ნავლებულიყო და მოახლოებულ გამოცდებზე ცოტა მაინც ეფიქრა დომფალას. მხოლოდ სურვილ-მა და შეგონებამ საქმეს ვერ უშველა. სკოლაში რასაც სწავლობდნენ ორივეს ჭირდებოდა იმის ცოდნა, ბუხუტიმ იცოდა და გულქანდასაც უზია-რებდა. ასწავლიდა რისი სწავლის უნარიც ჰქონდა, რაც არადა უწერდა, აწერინებდა, კარნახობდა, აზეპირებინებდა... ახლა გულქანდა იყო სტუდენ-ტი და ბუხუტი უსაქმური. დომფალამ, რაკი სკო-ლას თავი დააღწია, იმ მეცნიერებას როგორ გაეკა-რებოდა სადაც ციფრი და ანგარიში გაერეოდა. ვაჟი პირიქით — ზუსტ მეცნიერებაზე ოცნებობდა.

ქალიშვილს პირველ სემესტრშივე გაუჭირდა. ბუხუტი რომ დახმარებოდა, ჯერ უნდა სცოდნო-და. ცოდნა ვის მოჭარბებია, მაგრამ ის, რაც დღესდღეობით არ სჭირდებოდა, ის შეესწავლა და რაც აუცილებელი იყო, გვერდზე გადაედო. ვითომ გაჯიუტდა, უარი თქვა. ახლა მაინც მათე-მატიკა აღარ გაწუხებს, შენ თვითონ გაანძრიე თა-ვი, მე ჩემი სადავიდარაბოც მეყოფა, მისაღები გა-მოცდები მელოდებაო.

გულქანდას პირველი კურსი მაინც უნდა დაე-ხურა, რომ არ გამოერიცხათ. ახლა ღალატი და-ღუპვას და ყველაფრის წყალში გადაყრას უდ-რიდა.

ქალმა რომ მოინდომოს და რიყის ქვას ცხელი ვნებით აკოცოს, გაადნობს. ბუხუტიმ ვითომ იმ მეცნიერების შესწავლაც მოინდომა, რაც დომფა-ლას უნდა სცოდნოდა და თავისი საქმეც არ დაი-ვიწყა, იქით კიდევ, ცეცხლს რომ თივა მიაყარო, ჩააქრობ?! იჯდა ამ ცხელ ლადარში და ორ რთულ მეცნიერებას ეპოტინებოდა. ამას გარდა, ეს მეხან-ძრეები ცეცხლს მაინც ვერ აქრობენ, ტყუილა ძი-ლი დახოცავთ, შტატები შევამციროთო და მამა პენსიაზე გაუშვეს. „რიგითი" მეხანძრე მამის პენ-სია რას გაწვდებოდა და შვილს სამსახურზეც უნდა ეფიქრა, რომ პურის ფული ეშოვნა.

ვექილ კოტორაშვილების ოჯახს არ უჭირდა, მაგრამ ბუხუტისათვის რა შეღავათი იყო. დომფა-ლამ ნაზუქის ნაჭრების და ლვეზელის გამოძღვანიე-ბა იცოდა, მაგრამ გაჭირვება ამაყია.

გულქანდამ ბუხუტის მეცადინეობით მოახერხა და პირველი კურსის საგნები როგორღაც „მოახრ-ჩო", მაგრამ ვაჟი იმ წელსაც ინსტიტუტის გარეთ დარჩა, არ ჩაჭრილა, საკმაო ქულები ვერ დააგ-როვა.



მხატვარი თენგიზ სამსონაძე

შემოდგომაზე სავალდებულო სამსახურში დაუძახეს. მამამისმა, პენსიონერი ვარ, ჭაჭები მტკივა, ჩემი ერთადერთი მარჩენალი ეს ბიჭიაო, მაგრამ ვეება, ყოფილ მეხანძრეს თირკმლები ცოტა აწუხებდა, ჯერ გული საგულეს ჰქონდა.

ჯარისკაცი რომ სავალდებულო სამსახურიდან ვალმოხდილი დაბრუნდა, გულქანდა კანში არ ეტეოდა — უგერგილო დიასახლისი, საფუარმორეულ ცომს რომ მზის გულზე დადგამს, თვითონ ჭორებს გადაყვება და აფუებული ცომი გობიდან გადმოვა... ქალის გულმკერდს ერთიანად დაეგლიჯა არტახები და კაბის საკინძეზე ღილები დაეწყვიტა.

მამას ნახევრად მიწური, მორჩილი ოთახი იაფფასიანი ცარიელი ღვინის ბოთლებით აევსო და მას და მის პენსიონერ მეგობარს — აპოლონს ერთ ტახტზე უსაბნოდ ეძინათ. შინ ერთის მაგიერ ორი მამა დახვდა (მამის მეგობარს რძალთან ვერ მოეგუებინა და აქ უბარგოდ გადმობარგებულიყო).

იცოცხლე, გაიხარეს და კისერში თითებწაჭერილი ბოთლები მოაძუნძულეს, გამომშრალი მჟავე წიწაკა, ყველი, მწვანილი და ცხელი თონის პურიც გააჩინეს. საღამოს გამოჩნდა ქუჩის გადაღმა სახლის ფანჯრებში გულქანდა. ბუხუტიმ, რა თქმა უნდა, ფეხი არ მოიცვალა, მაგრამ „მამები" კარგად შეჭიკჭიკებული იყვნენ, კარებში ქალიშვილმა შემოანათა და ოთახი თავის კაბასავით დაავიწროვა.

ბუხუტი რატომღაც დამნაშავესავით, მორცხვად შეხვდა, თითქოს დომფალასაც ბავშვობის დროინდელი უგერგილობა და უძრაობა დაუბრუნდა და მათი შეხვედრის სიხარული მხოლოდ „მამებმა" გაინაწილეს. უფრო მეტიც, აპოლონს ჩაცვენილი ყბები აუვარდისფრდა: ამ ჩვენ ბიჭს ეს ფერადი გედი საიდან მოუფრინდაო და ცრემლმორეული თვალები აუჟუჟუნდა.

სტუმარი რომ მალე წავიდა, ბუხუტის არ გაჰკვირვებია, ეს ქალის სურვილის წინააღმდეგ მოხდა. ფეხები უკან რჩებოდა, მაგრამ არ შეიძლებოდა, არ წასულიყო.

ამის მერე კი მოხდა, რაც უნდა მომხდარიყო. ნაჯარისკაცალმა მეორე დღესვე სამსახური იშოვა რკინა-ბეტონის ქარხანაში. მერე გამოცდებიც ჩააბარა და საღამოს დასწრებულზე ჩაირიცხა. დილით ადრე უთენია მიდიოდა და საღამოს გვიან ბრუნდებოდა. ბუხუტის აღარ შეეძლო გულქანდას დახმარებოდა, სამი წლის მანძილზე ლექციებზე წაკითხული მეცნიერების ვრცელი კურსი შეესწავლა და მხარში ამოდგომოდა. ისევ იმას უნდა ეტვირთა ყველაფერი, ვინც პირველი კურსის მერე ეს საქმე თავს იდო...

დრო კი მიერეკებოდა აულაგმავ ბედაურს. მამას ფეხები დაუსივდა და თირკმელების ტკივილმა გულიც დაუსუსტა. ახლა მისი პატრონი პენსიონერი მეგობარიღა იყო და შვილს, გვიან ღამით შინ რომ მოიჩქაროდა, გული უსკდებოდა, აპოლონი რძალს არ შერიგებოდა და ავადმყოფი მარტოხელა არ მიეტოვებინა.

„დაუსწრებელი — მოუსწრებელიო", — ამბობს ხალხი და სანამ ბუხუტიმ ქალაქგარეთ რკინა-ბატონის ქარხნიდან, მოწყვეტილი წელით, ლექციებზე ილოლა, აპოლონს, მეორე მამას, მართლაც, სისხლი ჩაექცა და ისიც საპატრონო გაუხდა, თუმცა მის ვაჟიშვილსაც არ დაუზოგავს თავი, სანამ მოხუცს პირში სული ედგა. დარჩა მამა, ეს ისედაც ვეება კაცი დასიებული და დაფიყვინებული. რამდენი რამ უნდა ავადმყოფს კი არა, კარგად მყოფსაც... ამის მერე ზოგი საგანი ჩააბარა, ზოგი, რა თქმა უნდა, ვერა. დარჩა კურსზე. მეორე წელს უფასო შვებულება აიღო, მაგრამ კუდები მაინც ვერ მოიშორა. სანამ იწვალა და იჯახირა, სანამ სადიპლომომდე მიაღწია, გულქანდამ, რა საკითხავია, დაამთავრა, საკანდიდატო მინიმუმიც ჩააბარა და კარგი, მარჯვე დისერტაციაც დაწერა. ბუხუტის კიდევ არ ჰქონდა დიპლომი, რომ ქუჩა უამრავი ფერად-ფერადი მანქანებით გაივსო და იმდენი დოცენტ-პროფესორ-აკადემიკოსი მოაწყდა, ასეთ მძიმე საზოგადოებას თუ იმ ძველი შენობის გაბზარული ფუნდამენტი დაიმაგრებდა და არ ჩაირღვეოდა, არავის ეგონა.

ქუჩის გადაღმა სახლის სამივე სართული ზეიმობდა. მანამდე რაღაც ვერ აეწყო საქმე და იმოდენა შენობაში, ამდენ ოჯახს, ერთი მეცნიერი არ ჰყავდა. მას შემდეგ კი ბარე ოთხმა დაიცვა ხარისხი, მაგრამ ისინი გულქანდას მერე გამეცნიერდნენ. „ბარემ, ქორწილი, ქორწილიო!" — ყვიროდა ვიღაც გადამთვრალი ნაშუაღამევს და ბუხუტის მამის კვნესასთან ერთად ყურებს უბურღავდა, მაგრამ ხელმძღვანელი ცოლშვილიანი კაცი გახლდათ და მორცხვად იფშვნეტდა ხელებს.

ღმერთის წინაშე, ბუხუტიც იყო მიწვეული იმ საზეიმო საღამოზე; მეორე დღეს თვითონ გულქანდაც მოსულიყო და ავადმყოფი მამისათვის დაებარებინა: უსათუოდ, უსიკვდილოდ გვეწვიოსო, მაგრამ ბუხუტი რომ სამსახურიდან ინსტიტუტში და ინსტიტუტიდან შინ, დაღლილ-დაქანცული დაბრუნდა, ერთი პირი სუფრა მოთავებული იყო.

მამის გარდაცვალებაზეც მოვიდა გულქანდა და გულწრფელი ცრემლიანი სამძიმარი მოიხადა.

მალე მეცნიერების ახალი საცხოვრებელი ბინები აშენდა და ქუჩის გადაღმა, ძველ სამსართულიან სახლს, ახალხარისხდაცულებიც ჰყავდა, თორემ უმეცნიეროდ დარჩებოდა. გადავიდა გულქანდას ოჯახი. მათ ოთახებში ვიღაც გალეული, სამშვილიანი ქვრივი ქალი გადმობარგდა, რომელსაც ფანჯრიდან გადმოსახედავადაც არ ეცალა.

ბუხუტიმ უმაღლესი დაამთავრა, მაგრამ იქვე რკინა-ბეტონის ქარხანაში ჯერ ბრიგადირად დააწინაურეს და თავისი პროფილით სამსახური არც უძებნია. კარგა ხნის შემდეგ უბნის უფროსად დანიშნეს.

ჟამმა კი იდინა, იჯირითა, იტრიალა და დაჭარმაგდა.

გარდაიცვალა ვექილი კოტორაშვილი. ამას წინათ ყოფილმა დამსახურებულმა რკინიგზელმა, პროფესორ გამცემლიძის მამამ განუტევა სული. მოაწყდა ქვეყანა. გამცემლიძეები კოტორაშვილების აქაური კარის მეზობლები და ნათლიები იყვნენ: თბილისი ძველი ქალაქია და ქუჩები ასე გაფართოებულ დასაფლავებებს ველარ იტევს. მანქანამ ხომ ასფალტის ნაგლეჯი არ დატოვა — რომ არ დაე-

# მეათეკლასელი



წამიც და...

სპორტული დიპლომის გადაცემა.



ვიქტორ ჯაირანელის ფოტო

ეს ამბავი არცთუ ისე დიდი ხნის წინათ მოხდა.

თბილისის მოსწავლეთა გუნდებს შორის პირველობის გათამაშება მიმდინარეობდა კალათბურთში.

უნივერსიტეტის ფიზიკური აღზრდის და სპორტის კათედრის კალათბურთის სექციის უფროსი დავით ქამუშაძე, რომელიც საგანგებოდ დაესწრო მოსწავლეთა ამ ასპარეზობას, დაძაბული ყურადღებით ადევნებდა თვალყურს თითოეულ მატჩს.

მისი ყურადღება თავიდანვე მიიპყრო მაღალი ტანის ერთმა მოხდენილმა ჭაბუკმა. ეს ჭაბუკი საკმაოდ სხარტად და ოსტატურად უსხლტებოდა ხელიდან მოწინააღმდეგეებს, ფარქვეშ იჭრებოდა, ყველაზე მაღლა ხტებოდა და ტაშის გრიალში ბურთს ათავსებდა კალათში.

დავით ქამუშაძემ საყურადღებო

ფარა. ახლა აქ ცალკე ყვითელაპელატებიანი რკინიგზელები მოზლვავდა, ცალკე — ავტომანქანებში ჩაფუძნებული მეცნიერება. რკინიგზელები მაინც უტეხი ხალხია, უფრო ჯიქური და მიცვალებულის ახლოს მაინც ისინი გამაგრდნენ, დაიჭირეს ოთახები, დერეფნები და სახლის ლაფაროებიც კი. მეცნიერები უფრო გამოინაპირეს...

სწორედ წინა სალამოს, იმ სახლიდან, სადაც მიცვალებული ესვენა, პირველ სართულზე მცხოვრები, ბუხუტის მამის ძველი მეგობარი და პატიოსანი დურგალი კაცი — ენუქი ესტუმრა შვილიშვილთან ერთად. იმ კაცმა, რა თქმა უნდა, ყველაფერი იცოდა. მის თვალწინ დაიბადა და გაიზარდა ბუხუტი.

— ქენი სიკეთე, მაგ ქალზე დიდი ამაგი გაქვს, თუა შენითაა, იქნებ, შენ მაინც არ გითხრას უარი... — დანა კბილს არ უხსნიდა ენუქის.

დურგლის შვილიშვილს არ იცნობდა ბუხუტი— ქალიშვილისა ყოფილა, რომელთანაც ბავშვობისას, მათ ხელისგულისტოლა ეზოში, ერთად თამაშობდნენ.

ამ მოკრძალებულ ყმაწვილს თურმე ინსტიტუტიდან გარიცხვას უპირებდნენ. დურგლის შვილიშვილი კარგი სტუდენტიც ყოფილა, არც უწესრიგო, მაგრამ ვილაც გაჭირვებულს დახმარებია — სხვის მაგივრად გამოცდა ჩაუბარებია. გულქანდა იცნობდა თავისი სიყრმის მეგობრის ვაჟს (ამბობენ, სხვასაც შეუმჩნევია, მაგრამ თვალი დახუჭესო) და გადარეულა, გარიცხეთ, აქაურობას მოაშორეთ, თვალით არ დამენახოსო, ახლოს არავინ გაუკარებია.

ბუხუტისთვის ვინმეს რომ ნიშნის წამატებაზე პროტექცია ეთხოვა, ყურსაც არ შეიბერტყავდა, მით უმეტეს, გულქანდას არ თხოვდა, მაგრამ მეგობრის დახმარებისათვის რომ გარიცხვას და დალუპვას უპირებდა სტუდენტს, ისიც ვინ?! ამან კი სისხლი აუმღვრია.

— დაავიწყდა ვინც და რაც ბრძანდება?!...

— დავიწყებია, ჩემო ბიძია. მე მახსოვს. მე მახსოვს, მამაშენზე უხნესი ვარ და მას დავიწყებია!— თავი მწარე სინანულით გადააქნია ენუქიმ, — იქიდან ვხედავდი, რამდენ სიტყვას გამოგლეჯავდა პირიდან, იმდენს გტლიკავდა. დედამისიც ხედავდა ამას, მარა იცოდა, რა ბატისტვინაც ჰყავდა და რა ექნა. შენ გაამეცნიერე, ჩემო ბიძია, თუ მართალი გინდა... მერე კიდევ იმ საჯნიანმა ყაძახმა, ჩემ ფანჯრებთან რომ მოაცილებდა, სანამ მუხლში ძალა არ გამოელეოდა, ტუჩს ვერ წყვეტდა. ამ ხნის კაცს კი არ ეკადრება ეს ამბავი, მარა მაგი შენც იცი და თუ სიმართლე გინდა, ესაა...

— კარგი ბატონო, — თავი დაუქნია ბუხუტიმ,— დიდი ხანია არ მინახავს, ხვალ აქ დასაფლავებაზე იქნება და კი ვერაფერს დაგპირდები, მაგრამ თქმით ვეტყვი.

რკინიგზელებმა რომ მეცნიერები გამოინაპირეს, მანქანა და კაციც აქეთა, ერთი ციდა ტროტუარს, ზედ ფანჯრებთან მოარეკეს. ბუხუტიმ რომ სამძიმარი მოიხადა და გატენილი ქუჩა გვერდულად გამოარღვია, მის კარებთან, კიბის თავზე გაზანზარებული, ვეება ქალი იდგა; ძალზე ნაცნობი, მაგრამ ჭკნობაშეპარული ფერვანი ფერხორცით.

— გულქანდა?!

— კი, გულქანდა ვარ... — თავი დაუქნია გაწამებულმა, ამ ჯგლევაში კი არა, ასე ვიწრო ქუჩაში მარტოს გაუჭირდებოდა გატევა.

— მობრძანდით, ცოტა ხანს დაისვენეთ! — შეიპატიჟა ბუხუტიმ, მაგრამ მაშინვე ინანა, ნეტავ რა სასტუმროდ მაქვს საქმეო. ქალმა, თითქოს მთელი ცხოვრება ამ მიპატიჟებას ელოდაო, შვიდსაფეხურიან კიბეზე ისე ჩამოირბინა, ვითომ ისევ ის ჩითის კაბიანი გოგო იყო. კარებშიც მოხერხებულად შემოძვრა, მაგიდასთან მიდგმული სკამი გამოსწია და უკითხავად დაეშვა. შვებით ამოისუნთქა, მაგრამ თითქოს დღევანდელი კი არა, მთელი ცხოვრების დაქანცულობისა და ვაებისაგან განთავისუფლდაო.

— ეჰ, მიდიან ძველები... — ამოიხლიწინა გულისტკივილითა და იქაურობას თვალი მოავლო.

— მიდიან... — დაემოწმა ბუხუტი — დედა... დეიდა ევლნასი როგორაა?

— რა ვიცი... მე კი მომკლა და....

ბუხუტის აღარ უკითხავს რატომ მოკლა, ან რატომ არ იცოდა, დედა როგორ ჰყავდა.

დუმილი ჩამოვარდა. ასეთ დროს დუმილი ყველაფერზე მეტს ამბობს...

— აქ თითქმის ყველაფერი ისევ ისეა! — კარგა ხნის შემდეგ თქვა სტუმარმა.

— სამაგიეროდ, თქვენთან შეიცვალა ბევრი რამ... — ოდნავ გადააქნია თავი მასპინძელმა. მუშამბაგადაფარებულ მაგიდაზე ხელის დადებაზე ჩარჩენილი კონიაკიანი ბოთლი ჩამოდგა.

— არ გინდა! — იუარა სტუმარმა, — წნევა მაქვს, გულმაც მიღალატა. მართალი ხარ, ბევრი რამ შეიცვალა ჩემთან, მაგრამ უარესობით.

— უარესი რატომ?!

— ჰმ... — ქალს აფუებული მხრები შეუტოკდა. ისევ ოთახს მოავლო თვალი. ზურგისაკენ თავმიბრუნებულს წამით ლაბაბი გაუქრა, — ღმერთო ჩემო... წუხელი ეს დედაშენისეული კამოდი მესიზმრა...

გულქანდას ქონი ქინჩზეც დადებოდა.

ბუხუტი უამურად აიმრიზა, არ უნდოდა წარსულის გახსენება, მაგრამ წუხანდელი მათი მეზობლის თხოვნაც ახსოვდა და შეიძლება ამ მოგონებებს სათქმელთან ბუნებრივად მიეყვანა.

„ბარემ გეტყვი, რა საჭიროა მთელი წარსულის გადმოქოთება“...

— ზოგჯერ ვითომ „ეს ასეა“, მაგრამ დროს რაღაც მაინც მიაქვს და გვავიწყდება.

— ალბათ, უფრო გვიანდელი.

— ადრინდელიც, ბავშვობის ან ყრმობის დროინდელიც...

– პირდაპირ მითხარი.

— მე არავის პროტექციას არ ვუწევ...

— ვიცი.

— ჩვენი ძველი მეზობელი, პირდაპირ ფანჯრებში...

— ვიცი... ისიც ვიცი, რა უნდათ და ისიც, რაც ორივეს გიკვირთ, ალბათ.

— მე არაფერი არ მიკვირს. ყველაფერი შეიძლება მოხდეს...

— მაგის შვილიშვილი....

მონაცემების მქონე ჭაბუკი უნივერსიტეტში მიიწვია, პერსპექტიულ ნორჩ კალათბურთელთა გუნდში ჩარიცხა და, საერთო წვრთნასთან ერთად, ინდივიდუალურად დაიწყო მასთან სისტემატური მეცადინეობა.

აი, ასე მოხვდა თბილისის 130-ე საშუალო სკოლის მოსწავლე მამუკა ჯახუტაშვილი მწვრთნელის ხელში.

— ახლა მეათე კლასში ვარ, — ჩუმი, სპორტსმენისთვის თითქოსდა რაღაც მორიდებული ხმით გვეუბნება მამუკა, — პირველი სექტემბრის ზარმა უკვე დაიწკრიალა. ჩემი უპირველესი ამოცანა ამჟამად ის არის, რომ წარმატებით დავამთავრო საშუალო სკოლა და უნივერსიტეტის სტუდენტი გავხდე.

საშუალო სკოლის წარმატებით დამთავრება მარტო მამუკას ოცნება როდია! ამას ფიქრობს ყველა მისი თანაკლასელი, ამას ფიქრობს ამისათვის იბრძვის მამუკას მერხის მეგობარი, ჩვენს ქვეყანაში უკვე სახელგანთქმული მოჭადრაკე ნანა იოსელიანი...

— კალათბურთი?

მამუკა შუბლზე ჩამოშლილ თმაზე ზანტად ისვამს ხელს და უსიტყვოდ იღიმება.

ეს ღიმილი ბევრ რამეს მიგვანიშნებს.

ჩვენ უკვე ვიცით, რომ კალათბურთის გარეშე წარმოუდგენელია ამ ჭაბუკის ცხოვრება, რომ სპორტის ეს მართლაცდა მომხიბვლელი სახეობა ღრმად შევიდა, განუყოფლად მიესადაგა მის გულსა და სულიერ სამყაროს.

მამუკა ჯახუტაშვილმა მესამე კლასიდან დაიწყო კალათბურთის თამაში. ახლა იგი საქართველოს მოსწავლეთა ნაკრები გუნდის წევრია. უფროსების გუნდშიც ხშირად ათამაშებენ ხოლმე, ათამაშებენ და არც იქ უდებს ვინმეს ტოლს.

189 სანტიმეტრი სიმაღლე, კალათბურთისადმი დაუოკებელი გატაცება, ბეჯითი წვრთნა, საუკეთესო ფიზიკური მონაცემები, ბუნებრივი სისხარტე და მოქნილობა მართლაც რომ საუკეთესო მონაცემებია 16 წლის ჭაბუკისათვის!

შევცქერით მეათეკლასელ მამუკა ჯახუტაშვილს და უნებურად გვახსენდება მისი მწვრთნელის პატივცემულ დავით ქამუშაძის სიტყვები:

— ჯერ თავს ვიკავებ! მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ ჩვენი ქვეყნის ყველა გამოჩენილმა კალათბურთელმა სპორტული ცხოვრება სწორედ ისე დაიწყო, როგორც მამუკა იწყებს!

ოთარ დემეტრაშვილი



სარკესთან.



დაინტერესდა.



თევზაობა



ჩვენი პუბლიკაცია

## ალიო მირცხულავას ჩანაწერები

„..ალიო მირცხულავა სამართლიანად ითვლება ქართული საბჭოთა პოეზიის ერთ-ერთ ფუძემდებლად. ა. მირცხულავამ გულწრფელი ლექსები უძღვნა ახალ საქართველოს. მისი „დამკვრელი სტრიქონები“ იჭედებოდა „აგრიგალებულ შრომის დაზგაზე“, რათა შეექმნა ეპოქის შესაფერი წიგნი, სიტყვა, რომელიც მშენებლობაში ქვა და აგური იქნებოდა, ხოლო ბრძოლაში — „ტყვიით სავსე ყუმბარა“. მის შემოქმედებაში ჩანს „აზრისა და სიტყვის რევოლუციონერი“ პოეტი, შეყვარებული ცეცხლზე, წინსვლასა და აღმაფრენაზე. ა. მირცხულავა ყოველთვის იდგა ქართული საბჭოთა პოეზიის მოწინავე პოზიციაზე.

ალიო მირცხულავას პირადი არქივი გ. ლეონიძის სახელობის საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმის ფონდსაცავში ინახება. აქ წარმოდგენილია პოეტის ლექსები, პოემები, პიესები, თარგმანები, მოხსენებები, დოკუმენტები, წერილები, ფოტოსურათები...

ა. მირცხულავას ხელნაწერთა ფონდში საინტერესო ჩანაწერებია, რომელშიც კარგად ჩანს პოეტი-კომუნისტის ავტოპორტრეტი.

ლ. მარტაშვილი

# პოეტი — კომუნისტი

✦

ლექსების წერა 15 წლიდან დავიწყე. მანამდე კი უფრო ვეტანებოდი ხატვას, თანაც სოფლის არტისტობას ვჩემულბოდი, ხშირად ვასრულებდი მგოსან გოჩას როლს აკაკის პიესაში.

...ჩემ უშუალო წინაპრებად აკაკი წერეთელს, ილია ჭავჭავაძეს და ვაჟა-ფშაველას ვთვლიდი. თავიდანვე მიყვარდა პუშკინი და ლერმონტოვი, უცხოელი პოეტებიდან გატაცებული ვიყავი ვერჰარნითა და ჰეინეთი.

✦

არასოდეს არ მიწერია ლექსი მაგიდასთან... გადამიწერია კი... მე შემიძლია ვფიქრობდე და გულში ვიწერდე ლექსებს ყოველგვარ პირობებში — ხმაურში იქნება თუ სიჩუმეში, ოთახში თუ ქუჩაში, საუბრების დროს თუ ფიქრებში. ყველაზე დიდი სიამოვნება მიგრძვნია მაშინ, როდესაც ნაწარმოები ძირითადად დამთავრებულია და ვასწორებ. ხანდახან გამიტაცებს ხოლმე ძველი ხელნაწერები. ვიქექები არქივში; ზოგს ვხევ, ზოგს ვასწორებ, რომ მომავალი თაობის აუგად სახსენებელი არ იქნეს. ლექსებსაც დიდი სიფრთხილითა და პასუხისმგებლობით ვწერ. იშვიათად ვაქვეყნებ, რომ არ თქვან ჩემზე — ალიო უკვე ამოიწურაო. აქედან გამომდინარეობს ჩემი სიძუნწე 55 წლის ასაკში. მე სხვა ლექსებს შორის დავწერე ლექსი „სიჭაბუკე მეძახის“. ვინმემ კეთილ ინებოს და თქვას — მე ოდნავ მაინც თუ ჩამოვრჩი ჭაბუკურ ხმას და განწყობას. ჭეშმარიტი პოეტი არ უნდა ბერდებოდეს!...

✦

ცეცხლი უკვდავების სიმბოლოა; მე ხშირად ვხმარობ ლექსში ცეცხლს. ზოგი პოეზიას სანთელს ადარებს, მე კი — ცეცხლს; ღრმა რწმენასთანაა დაკავშირებული, ქარი სანთელს აქრობს, ცეცხლს კი — პირიქით. ჩემთვის, სიტყვისა და აზრის რევოლუციონერისათვის, ცეცხლია დამახასიათებელი; მე ეს შეხედულება აფორისტულადაც გამომითქვამს...

მე მზეც მიტაცებს, როგორც ცეცხლის ფენომენი; თავი რამდენჯერმე იკაროსისათვის შემიდარებია და მზისაკენ გავფრენილვარ, მაგრამ მზეს ჩემთვის ფრთები შემოუწვავს და ისევ დედამიწაზე დავცემულვარ, მაინც მზე მიტაცებს; ის არის ჩემი სიშორე და სიახლოვეც. ჩემს მხატვრობაშიც ხშირად მზისფერი გამოსჭვივის. მზე ჩემთვის სიმბოლურად ცეცხლის რაშიცაა, რომელიც ჩემთან ერთად „ცით დახურულ დღეს“ მიაქროლებს. ეს აზრი ერთხელ მე გამოვხატე ლექსში „ერთგული“ (ნახტომი მზისაკენ) და ძლიერი წყევლა-კრულვაც მერგო ამისათვის... ვერ გამიგეს... ლექსი კი, პირიქით, დიდი ექსპრესიით იყო დაწერილი.

✦

მაგონდება მოწაფეობის ხანა, როდესაც გულისფანცქალით ველოდი მასწავლებელს გამოცდაზე. ასე ვარ დღეს ცხოვრების წინაშე. ის არ არის თანამედროვე ადამიანი, ვინც ამ ცხოვრებას არ აბარებს გამოცდებს ყოველდღიური საქმიანობის სახით.

— წუხელ აქ ახლდა... ერთი სიტყვა არ დაცდენია.

— დედამისი ხომ ჩვენთან ერთად გაიზარდა... იმ ყმაწვილს რომ დავინახავ, მიხარია, ჩვენი ბავშვობა მახსენდება.

— წარსულის გახსენება თუ აღარ გინდა... თუმცა ის ბიჭიც ცოდვაა და ჩვენი ბავშვობაც...

— მე არა ვარ ცოდვა?! — არასდროს ბუხუტის რომ არ ახსოვდა, ისე გაავებული ხმით იკითხა ქალმა და ჭკნობაშეპარულ სავსე სახეზე ცეცხლი წაეკიდა.

ბუხუტის უნდა გახარებოდა, მათ წარსულს ქალი ასე ღრმა გულისტკივილით რომ მისტიროდა, მაგრამ რა შუაში იყო ახალგაზრდა ბიჭი, რომელიც ამ ქვეყნად აგერ ახლახან გაჩნდა და მისდაუნებურად ამ ქალს წარსულს ახსენებდა, ამისათვის უნდა დასჯილიყო?!

— ეს სტუდენტი ვითომ ბრალშია?

— სტუდენტი კი არა, შენა ხარ ბრალში, შენ! ჯერ დედაჩემი, მერე შენ და ბოლოს სხვა...

— ან ჩვენ რატომ... დურგლის შვილიშვილი?!.

— შვილიშვილი ვინ თქვა.

— მგონი შენ, დედამისს და ჩვენს ბავშვობას მახსენებსო.

— მახსენებს და წნევა თავში მივარდება...

— ის ახალგაზრდა მაინც უდანაშაულოა...

— უჰ, ღმერთო ჩემო! ნეტავ ამისთვის ვინ ადანაშაულებს?!

— არც ისაა ქვეყნის დაქცევა თუ მეგობარს დაეხმარა, ასეთი რამ ხდებოდა... — ბუხუტიმ ქალს თვალი აარიდა, — ჩვენამდეც ხდებოდა და ჩვენს მერეც მოხდება.

— არა! — გაანჩხლდა სტუმარი, რაც მასპინძლისათვის ისევ მოულოდნელი იყო.

— იქნებ ამ შემთხვევაში ცოტა მეტისმეტი მოსვლიათ... ესწავლებინა, მოემზადებინა... სხვის მაგიერ გამოცდის ჩაბარება...

— ამით ქვეყანა არ დაქცეულა.

— აბა, ახლა მართლა მხოლოდ იმისთვის, რომ დედამისს გახსენებს...

— დაეხმაროს, ვისაც უნდა დაეხმაროს, როგორც უნდა დაეხმაროს. მაგრამ დაეხმაროს მას, ვინც ამ საქმისათვისაა გაჩენილი. ვინ რისთვისაც დაობდა, დღეს არ იცის, ხვალ ისწავლის, თუ ამ მეცნიერებისათვისაა მოწოდებული, ისწავლის, წიგნში სულ რომ არ ჩაიხედოს, ცხოვრება ასწავლის და რა მნიშვნელობა აქვს, მე რა ნიშანს დავუწერ, მაგრამ თუ ის ამ საქმისათვის არ გაჩენილა, თუ ის სხვაგან ცხოვრობს, თუ ეს მეცნიერება მისთვის მგლის თავზე სახარების კითხვაა? ასეთი დახმარება დანაშაული არაა?! დანაშაულს თავი დავანებოთ, უბედურება არაა?! — ქალმა ვეება მკერდი მაგიდაზე დააშვავა და დაცვარულ სახეზე მამაკაცის მიტკლის ცხვირსახოცი აიფარა, — უბედურება არაა, ჯერ მეშჩანი დედაჩემი რომ არ მაყენებდა და მიტენიდა თავში ორჯერ-ორი ოთხიაო, მერე შენ მომსპე და დამანელე, მერე... მერე კიდევ სხვამ და მაინც შენ ჩემზე მეტი იცი ჩემი საქმისა. სტუდენტები დამცინიან წინ რომ დაწერილ ლექციას დავიდებ და ყოველ წელიწადს ერთსა და იგივეს ვიმეორებ, გაზეპირებულს და გაზუთხულს. ავი ვარ, მკაცრი და მიუკარებელი, იმიტომ რომ ჩემი უვიცობა დავფარო. ლექტორის ავტორიტეტს ვეფარები, რომ ჩემი უნიათობა დავმალო. ვინც წლიდან წლამდე პირში მოგჩერებია, თვალს როგორ აუხვევ, ყველამ იცის, მაგრამ ეშინიათ, არ გავამწარო და პირში ვერ მახლიან, ზურგს უკან მაინც მაგონებენ... ან რა გაგონება მინდა, რასაც ყველა ხედავთ. თქვენ რომ... აი, აქ, — ქალმა მაგიდას გაშლილი ხელი დაჰკრა. კონიაკის ბოთლი და ორი მორჩილა თლაშო ახტა, — მეცნიერებით რომ მიტენიდით თავს, ღამით ტყუპი ბავშვები მესიზმრებოდა. ყველა ქალი დედაა, მაგრამ როგორც ყველგან, იქაც არის განსხვავება. მე ქალის... ქალური... ქალის ნიჭით დავიბადე. მე უნდა მერეცხა, მეხეხა ოლროჩოლრო იატაკი, მეკერა, ტყუპ-ტყუპი ბავშვები გამეჩინა, ასე კი არ გავსივდებოდი, დავმახინჯდებოდი და სისხლი თავში კი არ ამივარდებოდა! — ქალს ხვნეშა აუვარდა, ხმა დაემსხვრა და შუბლზე შემოდებული ორივე ხელი აუთრთოლდა.

— შენ... ჯერ შენ და მერე სხვებიც ჩემში, როგორც თივის ზვინში ასანთის ანთებულ ღერს აგდებდით და თუ ცეცხლი მომედებოდა, მეცნიერების მყრალი წუმპის წყალს მასხამდით, რომ ვნების ხანძარი არ წამკიდებოდა და არ გადამებუგეთ. ვიცი, „მეხმარებოდით“! ახლა გულსაც კი მამადლით და გიკვირთ, ამდენი ამაგი რომ არ დაგიფასეთ. ეს დახმარება ჩემი დაღუპვა იყო, მკვლელებო, იმისა, რისთვისაც მე გავჩნდი... მკვლელებო! ყაჩაღებო! თქვენ მე გამძარცვეთ იმისაგან, რითაც მე მდიდარი ვიყავი და ღლაპად მაქციეთ. უნამუსოებო! გგონიათ სიკეთე მიყავით, დამეხმარეთ, გამამეცნიერეთ... ახლა დღე-დღეზე სისხლი ჩამექცევა, მოხვალთ, დედაჩემს მიუსამძიმრებთ, წამოხვალთ და არავის გაგახსენდებით, რაკი ჭეშმარიტი არაფერი შემიქმნია. ვიყავი ამოდენა ხორცის მასა, აღარ ვიქნები და ქვეყანას მოაკლდება ერთი ზედ-

✦

1923 წლიდან მე ვითვლებოდი საქართველოს კომპარტიის სტიპენდიანტად და ვსწავლობდი ვ. ბრიუსოვის სახელობის ინსტიტუტში. ვ. ბრიუსოვი იყო ამ ინსტიტუტის რექტორიცა და ლექტორიც. ის გვიკითხავდა პოეტიკას. რევოლუციის გულში, მაშინდელი მოსკოვის აბობოქრებულ ცხოვრებაში ყოფნამ დიდი გასაქანი მისცა ჩემს რევოლუციურ შეგნებასა და მებრძოლ პოეტურ შემოქმედებას. მე აქ ახლოს გავიცანი ვ. ბრიუსოვი, ვ. მაიაკოვსკი, ს. ესენინი, ნაზიმ ჰიქმეთი (რომელიც მაშინ როგორც ემიგრანტი მოსკოვში ცხოვრობდა) და სხვები, რომელთა პოეზიით ორგანულად ვიყავი დაინტერესებული და თავისებურ სტიმულს მაძლევდა. ჩემთან სწავლობდნენ შემდეგში გამოჩენილი მწერლები: მიხ. სვეტლოვი, ნიკ. ბოგდანოვი, ი. უტკინი და სხვები. მოსკოვში გატარებული ახალგაზრდობის წლები იყო ამოუწურავი შთაგონების წყარო, რომელმაც ახლის ძიების მეტი სურვილი, მეტი სიცხოველე შეიტანა ჩემს პოეზიაში.

✦

პირადად ჩემი მშობლიური ოჯახი ჯერ ლენინური კომკავშირი და მერე კომუნისტური პარტია იყო. პარტიამ მომცა მე იდეურ-მოქალაქეობრივი წვრთნა, პარტია მაძლევდა გეზს ცხოვრებასა და შემოქმედებაში. უწინარეს ყოვლისა, პარტიას ვუმადლი მე პოლიტიკურ და შემოქმედებით დავაჟკაცებას, მე ვამაყობ იმით, რომ ვარ დიადი კომუნისტური პარტიის შვილი!

✦

ყოველი დიდი შემოქმედება სიკვდილთან ბრძოლა და ჭიდილია. რა ძნელია სიბერე! იგი სიკვდილის აჩრდილია. დღეს ორმოცდათექვსმეტი შემისრულდა, სიცოცხლის სასწორი სიბერისკენ იხრება, აჩრდილი მიახლოვდება. შორიდან მაინც სიჭაბუკე მეძახის, არ მინდა ჩამოვრჩე მას. სიხარულითაც მივსდევ უკან. ჭაღარა ბავშვს დავემსგავსე, მერცხლებს მივსდევ შურდულით.

ო, ლექსებო, ლექსებო! რა იქნებოდა ცხოვრება უთქვენოდ?!

მეტი უზომო მჭამელი. რად მინდა ან სახლი ან კარი, ან ჩაცმა-დახურვა, შიშველ-ტიტველი მევლო, მშიერ-მწყურვალი, ამ სარდაფის მეტი არაფერი მღირსებოდა და ვყოფილიყავი ის, რისთვისაც გავჩნდი... მაგან დაღუპა ქვეყანა სხვა სხვის სკამზე რომ ზის, ყველა იქითკენ მიისწრაფის, რისი ნიჭიც მისთვის ღმერთს არ მიუცია. ვინ გაიგონა ჩემი მეცნიერება. ათზე მეტი შვილი რომ მყოლოდა, ვერ დავითვლიდი.

გულქანდა მაგიდას ორივე ხელებით დაეყრდნო, მორღვეული, ტვირთად ქცეული მკერდი აზიდა და მძიმედ წამოდგა, ფანჯარას გახედა.

— წაველი... მაგ ჩვენი ძველი მეზობლის შვილიშვილს ხელს არავინ ახლებს. ეს მე განგებ გავაზვიადე, რომ მეორედ ასეთი სისულელე არ ჩაიდინოს. ის კი, ვისაც დაეხმარა, უნდა გაირიცხოს. კარგი ყმაწვილია და მეცოდება, ვერ დავტოვებ, დაიღუპება. ის თავის ნამდვილ საქმეს ახლავე იპოვის და სიმართლის გზას დაადგება. მე სამარეში ფეხი მიდგას, ნახევარი ცხოვრების გზაზე შემომაღამდა და დედაჩემივით, შენსავით და სხვებივით ცოდვას ვერ დავიდებ!..

ქალმა ვეება ტანზე დაისვა ხელი, კაბა უგერგილოდ გაისწორა, ერთხანს მტვრიან მინებს თვალი გაუშტერა და კარისაკენ წელის წყვეტით გატრიალდა.

— გამოასვენეს უბედური, სასაფლაომდე უნდა გავყვე. ესღა დამრჩენია, მიცვალებულები საფლავამდე მივაცილო, რომ ხალხს დაამახსოვრდეს და უკანასკნელ გზაზე მარტოდმარტო არ გამიშვას, მიწის ზემოთ არ დამტოვოს. ცრემლის რა ღირსი ვარ, მაგრამ იქნებ თითო მუჭა მიწა მაინც მომაყარონ!

სტუმარს კარებში გატევა გაუჭირდა.

# მიხეილ საკაშვილი



ეროვნული ბიბლიოთეკა

პროფესორ მიხეილ საკაშვილის დაბადებიდან 70 წლისთავი

მისი ცხოვრების გზა განუწყვეტელი შრომისა და ფიქრის გზა იყო. ოჯახს რომ შეშველებოდა, დედას გვერდში რომ ამოსდგომოდა, მამის ომში დაკარგვის შემდეგ 14 წლის ძლივს იქნებოდა, ფიზიკური შრომა დაიწყო.

შრომა და წიგნი — ეს იყო მიხეილ საკაშვილის ორი უდიდესი კერპი, შრომამ და წიგნმა გადაარჩინა ცხოვრების ორომტრიალში მოხვედრილი უდროოდ დაობლებული ნიჭიერი ყმაწვილი კაცი. არც სკოლასა და არც სამედიცინო ინსტიტუტში სწავლისას შეუწყვეტია მუშაობა, მესამე კურსის სტუდენტი იყო, როცა დიალექტიკური მატერიალიზმის კათედრაზე დაინიშნა ბუნების დიალექტიკის კურსის ხელმძღვანელად.

მიხეილ საკაშვილმა სამედიცინო ინსტიტუტი 1933 წელს დაამთავრა და სამეცნიერო მუშაობისათვის დატოვებულ იქნა ნერვულ სნეულებათა კლინიკაში, რომელსაც გამოჩენილი ქართველი ნევროლოგი სვიმონ ყიფშიძე ხელმძღვანელობდა. მალე იგი მივლინებულ იქნა მოსკოვის I სამედიცინო ინსტიტუტის ასპირანტურაში, სადაც ცნობილი საბჭოთა მეცნიერის ე. სეპის ხელმძღვანელობით მუშაობდა.

1937 წელს მიხეილ საკაშვილი საქართველოში დაბრუნდა. აქ მან დაასრულა თავისი მონოგრაფიული ნაშრომი იშიაზის შესახებ და მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი მოიპოვა.

ორმოციან წლებში მ. საკაშვილი მშობლიური ქვეყნის სახელოვანი წარსულის, კერძოდ, ქართული მედიცინის მდიდარი მემკვიდრეობის შესწავლამ გაიტაცა, მან განაგრძო თავისი წინამორბედის ექიმ ლადო კოტეტიშვილის მიერ დაწყებული საქმე და ინტენსიური მუშაობის შედეგად ქართული მედიცინის ისტორიის კვლევას მტკიცე ბაზა შეუქმნა.

1943 წელს მიხეილ საკაშვილის ხელმძღვანელობით თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტთან ჩამოყალიბდა მედიცინის ისტორიის კათედრა, ხოლო 1945 წელს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტში ქართული მედიცინის ისტორიის განყოფილება შეიქმნა. როგორც კათედრაზე, ისე განყოფილებაში მან საქმით დაინტერესებული ახალგაზრდა მეცნიერები, ექიმები, სტუდენტები შემოიკრიბა.

დაუვიწყარია ის შეკრებები, რომელიც მისი ხელმძღვანელობით ტარდებოდა ყოველი კვირის ოთხშაბათს. ეს იყო აზრთა გაცვლა-გამოცვლის, პაექრობის, მსჯელობის სკოლა, ამ მუშაობის შედეგი იყო ქართული მედიცინის ისტორიის საკითხებისადმი მიძღვნილი გამოკვლევები (მონოგრაფიები, სტატიები და სხვ.); ერთ-ერთი მათგანი იყო ამ საქმის ორგანიზატორის მ. საკაშვილის ნაშრომი „ნევროპათოლოგიის ისტორიისათვის საქართველოში“. ეს იყო პირველი სადოქტორო დისერტაცია ქართული მედიცინის ისტორიაში. დიდი ენერგია და მრავალი წლის შრომა მოახმარა მ. საკაშვილმა მსოფლიოში სახელგანთქმული მეცნიერის, ფიზიოლოგის — ივანე თარხნიშვილის (თარხან-მოურავის) ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესწავლას. სხვა სპეციალურ საკითხებთან ერთად მ. საკაშვილმა მკაფიოდ აჩვენა ივანე თარხნიშვილის მეცნიერულ-საზოგადოებრივი მოღვაწეობის იდეური ნათესაობა და საწყისები ქართველ მესამოციანელებთან, რომლის მებაირახტრე დიდი ილია ჭავჭავაძე იყო.

ლენინგრადში გამგზავრების წინ მან გვთხოვა, მიგვეგნო ივანე თარხნიშვილის პირადი არქივისათვის. რამდენ დიდი იყო მისი სიხარული, როდესაც ეს არქივი თბილისში იქნა ჩამოტანილი. ეს მისთვის იყო საქართველოდან დიდი ხნის წინ წასული სახელოვანი შვილის სამშობლოში დაბრუნება.

მიხეილ საკაშვილის მოღვაწეობაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოს მედიცინის ისტორიის მრავალტომეულის შექმნა, რომელიც ასახავს სამედიცინო აზროვნებისა და პრაქტიკის განვითარებას უძველესი დროიდან დღემდე.

მ. საკაშვილი მეცნიერულ მუშაობაში განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა სომატიკურისა და ფსიქიკურის ურთიერთობის საკითხებს. ამ პრობლემას მან არაერთი სტატია მიუძღვნა, ზოგი მათგანი ჟურნალ „დროშაშიც“ დაიბეჭდა, რომლის სარედაქციო კოლეგიის წევრი იგი მრავალი წლის მანძილზე იყო.

მიხეილ საკაშვილს უსაზღვროდ უყვარდა ახალგაზრდობა, ზრუნავდა მათ მომავალზე, რამაც განსაკუთრებით იჩინა თავი სამედიცინო ინსტიტუტში მისი რექტორად მუშაობის დროს. იგი ყოველნაირად ცდილობდა აღზრდილიყვნენ მეცნიერების ახალი დარგების კვალიფიციური სპეციალისტები და საქართველოში კვლევის უახლესი, თანამედროვე მეთოდები დანერგილიყო.

მას ნიჭიერი ახალგაზრდობის მიგნებისა და გამოვლინების საოცარი უნარი გააჩნდა.

მოვლენების სწრაფი ორიენტაცია, დაუშრეტელი ენერგია, საქმისათვის წვა, უამრავი ჰიპოთეზა ხიბლავდა ახალგაზრდობას; მისი ლექციები ეს იყო საოცარი შერწყმა მოაზროვნისა და ორატორისა. სტუდენტები მოჯადოებული უსმენდნენ, თუ როგორ იბმებოდა კავშირი ძველსა და თანადროულობას შორის — ჰიპოკრატეს ეთიკას და დღევანდელი ექიმის მაღალზნეობრივ ნორმებს შორის. რამდენი საფიქრალი, თავსატეხი კითხვა იბადებოდა მის ლექციებზე და როგორი კმაყოფილებით ბრწყინავდნენ მასწავლებლის თვალები, როცა კითხვებზე გაცემული პასუხები მისი მსმენელების მაღალ ინტელექტუალობაზე მეტყველებდნენ. ვინ მოთვლის, რამდენი სტუდენტისათვის, შემდეგში გამოჩენილი მეცნიერისა და ექიმისათვის გაუკაფავს გზა, შთაუნერგავს საკუთარი ძალის რწმენა, გადაჭარბებულადაც კი შეუქია, რადგან იცოდა, რად ღირდა ახალგაზრდისათვის საქმისადმი სიყვარულის, მნიშვნელოვანის შექმნის სურვილის გაღვივება.

ციალა ჩხეიძე,
თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის მედიცინის ისტორიის კათედრის დოცენტი.

საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა

# ხელოვნება საზღვარგარეთ

## „ახალი გონჯები“

სამმა გამოჩენილმა იტალიელმა რეჟისორმა: დინო რიზიმ, მარიო მონიჩელიმ და ეტორე სკოლამ გადაწყვიტეს, გადაიღონ პატარა ნოველებისაგან შემდგარი თავისებური ხასიათის ფილმი, რომელიც თანამედროვე ცხოვრების სხვადასხვა პრობლემებს ეხება.

ფილმის ეპიზოდები სახვადასხვა ხასიათისაა: სასაცილო და სევდიანი, ირონიული და ტრაგიკული, ფილოსოფიური და პალიტიკური.

ფილმში იღებენ ცნობილ მსახიობებს: ალბერტო სორდის, ვიტორიო გასმანს, უგო ტონიაცის, მომღერალ ორიეტა ბერტის.

## „გევედრებით, დაივიწყეთ ეს ფილმი“

ახალგაზრდა ფრანგი მსახიობი მარია შნეიდერი მარლონ ბრანდოსთან ერთად გადაიღეს იტალიელი რეჟისორის ბერნარდო ბერტოლუჩის ფილმში „უკანასკნელი ტანგო პარიზში“.

ერთ-ერთ თავის ინტერვიუში მარია შნეიდერმა განაცხადა:

„აურზაურმა, რომელიც თან მოჰყვა ფილმს „უკანასკნელი ტანგო პარიზში“, მომიტანა პირველი სულიერი დეპრესია, რომლითაც დიდხანს ვიტანჯებოდი. ხალხისათვის მე ვიქეცი იმ გოგონად, რომელიც ფილმს აშვენებს — „გოგონა „ტანგოდან“, — სხვა არაფერი. გევედრებით, დაივიწყეთ ეს ფილმი“.

□

1786 წელს ადმინისტრაციული საქმიანობით გულგატეხილმა იოჰან ვოლფგანგ გოეთემ დატოვა ვეიმარი და იტალიაში გაემგზავრა.

ძველი კულტურის ქვეყანაში ორი წლის მოგზაურობის შთაბეჭდილებები გოეთემ გრაფიკულ ტილოებში აღბეჭდა, რომელიც ვეიმარშია დაცული და სამი ათას ნახატს ითვლის.

იტალიაში ახლახან ექსპონირებულ იქნა გოეთეს სამოცდათხუთმეტი ნახატი და მნახველთა დიდი აღფრთოვანება გამოიწვია.

თვით გოეთე ნაკლებ შეფასებას აძლევდა თავის ნიჭს მხატვრობაში, თუმცა ამბობდა: „მაშინ ჯერ კიდევ არ ვიცოდი, რა იყო ჩემი მოწოდება — ფერწერა თუ ლიტერატურა, მაგრამ ხატვამ გაზარდა და განავითარა ჩემში პოეტი“.

# ძველი ჭრესის ფურცლებიდან

## უძველესი სასიყვარულო წერილი

სულ ძველად, ეგვიპტელებისა და ქალდეველების ბატონობის დროს, ქალებს ბევრად მეტი თავისუფლება ჰქონდათ, ვიდრე შემდეგში, ქრისტიანობისა და მაჰმადიანობის დროს. ქალდეაში მაგალითად, ქალს შეეძლო თავისუფლად ვაჭრობა, შეეძლო ჰქონოდა საკუთრება, ყოფილიყო მოწმედ სასამართლოში და აპეკუნად თავისი ბავშვებისა. ეგვიპტეზე ბევრი არაფერი ვიცით, მაგრამ იქაც დიდი თავისუფლება იყო ქალებისა. მხოლოდ ერთი რამ შეიცვალა ცოტათი, სახელდობრ — ქალის გათხოვება. უწინაც და ეხლაც დაბალ ხალხში ქორწინების საქმე დედ-მამას უფრო ეკითხებოდა, ვიდრე ქალვაჟს. ასეა უძველეს დროიდან, როგორც ბაბილონის მეფე გამმერაბის კანონებიდან ჩანს (გამმერაბი ცხოვრობდა 2200 წელს ქრისტეს დაბადებამდე). ხშირად, როგორც ეხლა, ფულის გამო დიდი მოლაპარაკება იმართებოდა ქალ-ვაჟის დედ-მამას შორის. ასეთ პირობებში, რა თქმა უნდა, სიყვარული იმდენად ფრთებს ვერ გაშლიდა. დარჩა ბევრი სასიყვარულო ლექსი უძველესი დროისა, მაგრამ წერილი-კი დღემდე ვერსად აღმოაჩინეს; მხოლოდ დღეს, როგორც ერთი ინგლისური ჟურნალიდან ჩანს, უნახავთ წერილი, თიხის ფირფიტაზე დაწერილი. ეს წერილი ეკუთვნის 2500 წელს ქრისტეს დაბადებამდე. წერილი უპოვნიათ სიპპარში (დაბადებაში ეს ადგილი სეფარანის სახელით არის მოხსენებული). როგორც წერილიდან ჩანს, ქალი სიპპარში ცხოვრობდა, ხოლო იმისი საყვარელი — ბაბილონს. აი, წერილის შინაარსიც: „ქალბატონ კასბუიას (კასბუია ნიშნავს ბატკანს) გიმილ მარდუკი უთვლის შემდეგს: ვთხოვ მზეს, ყოვლად შემძლე ღმერთს, ძოგანიჭოს საუკუნო ცხოვრება, გწერ იმიტომ, რომ გავიგო რამ შენ ჯანმრთელობაზე. ოჰ, მაცნობე. გთხოვ მაცნობე რამე ამის შესახებ. მე ბაბილონს ვცხოვრობ და ვეღარ გხედავ, რაც ძალიან მაწუხებს. შემატყობინე, როდის მოხვალ ჩემთან, რომ გავბედნიერდე. მოდი მარჩესვანში დიდხანს იცხოვრე, იცხოვრე ჩემთვის“. მარჩესვანი თვის სახელია. ამ თვეში უწინ დიდი დღესასწაულები და გასართობები იმართებოდა და ზემოხსენებულ კაცსაც თავისი საყვარელი ამ თვეში დაუპატიჟნია თავისთან.

# სპორტი

● ქართველი ფეხბურთელებიდან სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება პირველად მიენიჭა თბილისის „დინამოს“ კაპიტანს შოთა შავგულიძეს (1941 წ.).

● საერთაშორისო და საკავშირო კატეგორიის მსაჯი ჩვენი თანამემამულეებიდან პირველი გახდა თბილისელი ნ. ჩხატარაშვილი (1950 წ.).

● ჩვენი რესპუბლიკიდან საკავშირო კატეგორიის მსაჯის საპატიო წოდება პირველად მიენიჭა კ. კრავჩენკოს (1947 წ.), შემდეგ ვ. რამიშვილს (1956 წ.).

● 1936 წელს ფეხბურთის საკავშირო ჩემპიონატში თბილისის „დინამოს“ მეკარემ ა. დოროხოვმა პირველად დაისაკუთრა საუკეთესო მეკარის სახელი. მან ყველაზე ნაკლები ბურთი გაუშვა თავის კარში.

● თბილისელი ფეხბურთელებიდან ავთანდილ ღოღობერიძე პირველი იყო, რომელიც გადასცდა „დინამოელთა“ აულებელ ზღვარს: მან საკავშირო ჩემპიონატებში 341-ჯერ მიიღო მონაწილეობა.

● მინსკელმა ფეხბურთელმა მ. რადუნსკიმ თბილისის „დინამოსთან“ თამაშის დროს პირველი ბურთი გაიტანა... საკუთარ კარში. ეს იყო თბილისელთა მე-1000 გოლი. მე-1001 ბურთი მეტოქის კარში გაიტანა ვ. ბარქაიამ.

● ი. დათუნაშვილმა საბჭოთა კავშირში პირველმა მიიღო გაზეთ „თბილისის“ რედაქციის მიერ დაწესებული პრიზი — „ოქროს ბუცი“. ეს პრიზი ენიჭება ფეხბურთელს, რომელიც ერთ მატჩში გაიტანს ყველაზე მეტ ბურთს. ი. დათუნაშვილმა ერევნის „არარატთან“ თამაშში გაიტანა 5 ბურთი. ეს რეკორდი დღემდე ვერავინ გაიმეორა.

● ჟურნალ „ოგონიოკის“ რედაქციამ დააწესა საუკეთესო მეკარის პრიზი. ეს პრიზი 1962 წელს თბილისელ მეკარეთაგან პირველად მიეკუთვნა ს. კოტრიკაძეს.

● გაზეთ „ტრუდის“ ჯილდო — სსრ კავშირის ჩემპიონატის საუკეთესო სნაიპერი — თბილისის დინამოელებიდან პირველად დაისაკუთრა ზაურ კალოევმა (1959 წ.).

● ყოველკვირეულმა გაზეთმა „ფუტბოლმა“ თავისი პრიზი დააწესა იმ გუნდისათვის, რომელიც მოიპოვებს ყველაზე მეტ გამარჯვებას დიდი ანგარიშით (სამი და მეტი ბურთის განსხვავებით). ეს პრიზი თბილისის „დინამოს“ მიენიჭა 1961 წელს.

● სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის პრიზი ეძლევა გუნდს, რომელიც ძირითადი და სათადარიგო შემადგენლობის შედეგთა ჯამით ყველაზე საუკეთესო იქნება.

ეს ჯილდო თბილისის „დინამომ“ პირველად მოიპოვა 1964 წელს.

# სიახლენი

ეროვნული ბიბლიოთეკა

□ მოსკოვის საფეიქრო ინსტიტუტის კომპლექსური ლაბორატორიის თანამშრომლებმა, პროფესორ ზ. როგოვინის ხელმძღვანელობით, დაამუშავეს ახალი ტექნოლოგიური მეთოდი, რომლის მეოხებით ბოჭკოს არაჩვეულებრივი თვისება მიენიჭა.

ასეთი ბოჭკოსაგან დამზადებულ ქსოვილს აღარ ეშინია ცეცხლის, არ იკარებს წყალს, სპობს მავნე მიკრობებს, იცილებს კოღოებს...

□ იმისთვის, რომ დავითვალოთ რამდენი ხეა ტყეში, აუცილებელი აღარ არის ტყეში შესვლა.

ლენინგრადელმა სპეციალისტებმა ამას წინათ შექმნეს საგანგებო მოწყობილობა, რომელიც საშუალებას იძლევა ტყეში შესვლის გარეშე დავადგინოთ ხეების რაოდენობა.

საკმარისია ახალ მოწყობილობას წარვუდგინოთ ტყის ფერადი აეროფოტოსურათი, რომ იგი რამდენიმე წუთში ზუსტად გვაცნობებს თითოეული ჯიშის ხის რაოდენობას და მათ მიერ ტყეში დაკავებულ ფართობს.

□ ტიუმენში დაამზადეს კონტეინერი, რომლის დანიშნულებაა ხელი შეუწყოს თევზების მოშენებას.

საინკუბაციო ცეხიდან კონტეინერში ათავსებენ 700 კილოგრამამდე ახლად გამოჩეკილ ლიფსიტებს.

ვერტმფრენს კონტეინერი მიაქვს ტბებთან, წყალსატევებთან, თევზის მოსაშენებელ ხელოვნურ გუბურებთან...

ვერტმფრენზე ჩამოკიდებული კონტეინერის ქვედა ნაწილი საჭირო ადგილზე მიხვლისთანავე სწრაფად იხსნება და მოსამრავლებელი თევზებიც ციდან პირდაპირ ცვივიან წყალში.

□ ბელორუსიის ავტოქარხანაში ამას წინათ შექმნეს ჩვენს ქვეყანაში ყველაზე მძლავრი ავტომცლელის საცდელი ნიმუში.

იგი იტევს იმდენ ტვირთს, რამდენიც შეუძლია გადაიტანოს რკინიგზის ორმა ვაგონმა — 110 ტონა.

მძლავრ ავტომანქანებს უმთავრესად გამოიყენებენ ქვანახშირისა და სხვა ძვირფასი წიაღისეულის გადასატვირთად.

## საგულისხმო სტრიქონები

✦ ქარის მინდობა გერჩივნოს ენაჭარტალას ნდობასა.

✦ ენის მომტანს ენა უჭრის, მაგრამ სადღაც ჰკუა უჭირს.

✦ სიდამპლე ზოგჯერ გარედან ფერშეუცვლელია.

სიდონია გულისაშვილი

# ᲜᲐᲠᲔᲕᲘ

● ეს იყო უჩვეულო შემთხვევა. პოლონეთის ქალაქ ბიგდოში ერთმანეთს ხვდებოდნენ ქალაქის ჟურნალისტებისგან შემდგარი ფეხბურთელთა ნაკრები გუნდი და...

აი როგორ გამოაცხადა სტადიონის დიქტორმა მატჩის მეორე გუნდის შემადგენლობა:

— მეკარე — ოსინსკი, მარჯვენა მცველი — ოსინსკი, ცენტრალური მცველი — ოსინსკი, მარცხენა მცველი ოსინსკი, მარჯვენა გარემარბი — ოსინსკი, მარცხენა გარემარბი — ოსინსკი...

თერთმეტივე ფეხბურთელი ოსინსკი გახლდათ.

ისინი იყვნენ ღვიძლი ძმები — 61 წლის რკინიგზელის ზვრონ ოსინსკის ვაჟები.

მაყურებელთა შორის ოსინსკებიდან შემდგარი გუნდის ყველაზე დიდი გულშემატკივარი იყო მათი და ელბეტა.

● ინგლისის ქალაქ ბრაიტონში ამას წინათ ექვსი წლის ასაკში განუტევა სული მსოფლიოში ყველაზე უზარმაზარმა ლოკოკინამ, რომლის სიგრძე 20 სანტიმეტრს აღწევდა, წონა — 500 გრამს.

გიგანტი-ლოკოკინა ცნობილი იყო ლუდისადმი თავისი უზომო სიყვარულითაც.

ღამის ბარში იგი ხშირად გამოშყავდათ ლუდის საწრუპად და კლიენტების გასართობად.

● ასეთი შემთხვევა ფეხბურთის ისტორიას არ ახსოვს.

პორტუგალიის გუნდმა „ბენფიკამ" ეროვნული ჩემპიონატის დამთავრებამდე 7 ტურით ადრე გაინაღდა პირველი ადგილი.

ამ გუნდს არც ერთი თამაში არ წაუგია და არც ფრედ დაუმთავრებია, ყველა მატჩი მოიგო.

„ბენფიკამ" უჩვეულო შედეგს მიაღწია: 64 შესაძლებლობიდან 64 ქულა დააგროვა. (!)

● საფრანგეთში უკანასკნელ ხანებში დიდი მოწონებით სარგებლობს ე. წ. აგარაკი-გამოქვაბული, რომლებსაც ზღვის სანაპიროზე აწყობენ.

ასეთი მიწისქვეშა აგარაკები შედარებით იაფი ჯდება, მოხერხებულია, შიგ საკმაოდ გრილა.

აგარაკ-გამოქვაბულში მზის სხივები ილუმინატორის საშუალებით ჩადის.

● ჩვენს რესპუბლიკაში დაიწყეს თუთუნისაგან... ზეთის მიღება. განსაკუთრებული ტექნოლოგიით ჩვეულებრივი თუთუნისაგან მზადდება საუკეთესო სუნისა და არომატის ძვირფასი ზეთი, რომელსაც დიდი გამოყენება აქვს პარფიუმერიაში.

საქართველოში დამზადებულ თამბაქოს ზეთზე უკვე დიდი მოთხოვნილებაა საბჭოთა კავშირში, საფრანგეთსა და ამერიკის შეერთებული შტატების სხვადასხვა ფირმებში.


ეროვნული ბიბლიოთეკა

# ᲬᲘᲜ ᲒᲘᲚᲙᲘᲕᲘᲡ

იმ დროს, როდესაც საბჭოთა სპორტსმენები პირველად ჩაებნენ ოლიმპიურ თამაშებში, ოქროს ჯილდო სამმაგ ხტომაში, ჰელსინკიდან შორეულ ბრაზილიაში, ადემარ ფერეირა და სილვამ წაიღო. ბრაზილიელი ზანგი მაშინ მსოფლიო რეკორდის ავტორი იყო და XV ოლიმპიადის გამარჯვების ფავორიტად სწორედ მას მიიჩნევდნენ. მან ჰელსინკის სტადიონზე ჩემპიონის საპატიო ტიტულს, მსოფლიო რეკორდსმენის სახელიც მიუმატა — 16 მეტრი და 22 სანტიმეტრი. ოთხმა წელიწადმაც თითქოს შეუმჩნევლად განვლო. ავსტრალიის ქალაქ მელბურნში ფ. და სილვა ისევ იმეორებს ფინეთის დედაქალაქის სტადიონზე მიღწეულ ორმაგ გამარჯვებას. ძველებურად ჟღერს ბრაზილიის ჰიმნი, ხოლო მსოფლიო რეკორდი 16 მეტრსა და 56 სანტიმეტრამდე იზრდება...

რომის „ფორო-იტალიკოს" XVII ოლიმპიადაზე მოხდა სენსაცია. სამმაგი მხტომის ტახტის მფლობელის ფ. და სილვას მსოფლიო რეკორდი პოლონელმა ი. შმიდტმა გააუმჯობესა — 16 მეტრი და 81 სანტიმეტრი. მისი გამარჯვების პატივსაცემად შესრულდა პოლონეთის სახელმწიფო ჰიმნი. რომის ტრიუმფის შემდეგ პრესაში ხშირად გაისმოდა იუზეფ შმიდტის სახელი. სამმაგ ხტომაში აუცილებელი გამარჯვების ფავორიტმა ტოკიოს ოლიმპიურ თამაშებზეც დაისაკუთრა ოქროს მედალი. ამჯერად მან 4 სანტიმეტრით გაზარდა თავისი ძველი რეკორდი, ხოლო მეხიკოს XIX თამაშების დაწყებამდე რამდენიმე ხნით ადრე პირველმა გადალახა 17 მეტრიანი ზღვარი, ორგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა 17 მეტრი და 3 სანტიმეტრი გვიჩვენა... ასეთი ევოლუცია განიცადა სამმაგმა ხტომამ, ვიდრე მძლეოსნები მეხიკოს „აცტეკის" სტადიონზე მოიყრიდნენ თავს. პოლონელი კარგად გრძნობდა, მესამე ოქროს მედლის მოპოვება მისთვის ადვილი საქმე რომ არ იყო. შმიდტი ახალგაზრდა სპორტსმენების გარემოცვაში მოექცა. მეხიკოს თამაშების პრელუდიად მიჩნეულმა, წინაოლიმპიურმა ამხანაგურმა ასპარეზობამ მთლად დააბნია „სპორტის დედოფლის" გამოცდილი სპეციალისტები. თბილისელმა ვიქტორ სანეევმა 16 მეტრი და 87 სანტიმეტრი აჩვენა — საუკეთესო შედეგი 1968 წლის სეზონში!

თავისი დრამატიზმით, დაძაბულობით, სიმწვავით ოქროს მედლისათვის ბრძოლა მეხიკოში უაღრესად რთული და უკომპრომისო იყო. თვითონ განსაჯეთ, რა ხდებოდა ტრიბუნებზე, როცა იტალიელმა ჯ. ჯენტილემ 17 მეტრი და 10 სანტიმეტრი აჩვენა და მსოფლიო რეკორდი დაამყარა, ჯენტილე სიხარულისაგან აცეკვდა, ხელებს იქნევდა, ყვიროდა. მესამე, თუ მგონი, მეორე ნახტომისას იტალიელმა თავისი რეკორდი კიდევ 12 სანტიმეტრით გაზარდა. რატომღაც მას გული უგრძნობდა, რომ ოქროს მედალი ჯიბეში არ ედო. ეს მომეტებული პესიმიზმი ბრაზილიელმა მხტომელმა ნელსონ პრუდენსიომ გაამართლა. ჯ. ჯენტილეს რეკორდი მან მეოთხე ცდაზე დაამხო — 17 მეტრი და 27 სანტიმეტრი. უნდა გენახათ რა ხდებოდა ტრიბუნებზე, როგორ იღებდნენ ფოტო და ტელეჟურნალისტები ბრაზილიური ცეკვა „სამბას" მსგავს ილეთებს, რომელსაც ახალი მსოფლიო რეკორდსმენი ასრულებდა...

— მეექვსე, უკანასკნელ ნახტომს შეასრულებს ვიქტორ სანეევი, საბჭოთა კავშირი! — გაისმის სტადიონზე.

ვიქტორი დაიძაბა, მშვიდი და სერიოზული გახდა. გონებაში გაიელვა სამშობლოში სატელევიზიო ეკრანებთან მსხდომ მეგობართა სახეებმა. „მათ უსათუოდ სჯერათ ჩემი გამარჯვებისა, — ფიქრობდა საბჭოთა ოლიმპიური ნაკრები გუნდის „დებიუტანტი", — რადაც არ უნდა დამიჯდეს... მხოლოდ გამარჯვება"... სანეევი ადგილს მოსწყდა, დიდი სისწრაფე განავითარა. ერთი, მეორე, მესამე უკანასკნელი ნახტომიც. ჯერ კიდევ ჰაერში შეამჩნია, რომ სულ ახლახან დამყარებული მსოფლიო რეკორდის აღმნიშვნელ პატარა წითელ ალამს ასცდა... მსაჯები საგულდაგულოდ ზომავენ მისი ნახტომის სიგრძეს. ზანტად გადიან წამები... ბოლოს პატარა ელექტროფარზე, სახტომი სექტორის გვერდით, ინთება ციფრები — 17—39. გახარებულმა ვიქტორმა ზეაღმართა ორივე ხელი, თვალი გაუსწორა მექსიკის ზეცას. სიმწრისაგან მუხლებზე დაეცა ბრაზილიელი; ხელი ჩაიქნია იტალიელმა. ახლა სანეევისკენ მორბიან ჟურნალისტები, საბჭოთა სპორტსმენები.

— „ვიქტორია!" „ვიქტორია!" (გამარჯვება), — გაჰკივიან ახალი ჩემპიონის პატივსაცემად ტემპერამენტიანი მექსიკელები. ვიღაცამ შავი, მოსირმული სომბრერო დაახურა თავზე სამმაგი ხტომის ტახტის ახალ მემკვიდრეს...

.. ოთხი წელიწადი უცებ გავიდა. კვლავ აინთო ოლიმპიური ჩირაღდანი ოლიმპოს მთაზე. სპორტსმენებმა ბავარიის დედაქალაქისაკენ — მიუნხენისაკენ წაიღეს ოლიმპიური ცეცხლი. ისევ შეიკრიბნენ პლანეტის უძლიერესი სპორტსმენები. მასპინძლები გულგრილად ვერ შეხვდნენ მეორე ოქროს ნახტომს, რომელიც 17 მეტრსა და 35 სანტიმეტრს უდრიდა. ეს იყო უცნაური შემთხვევა, როცა ოლიმპიურმა ჩემპიონმა მეხიკოს საპირისპიროდ ფინალური შეჯიბრების პირველსავე ცდაზე შესრულა ნახტომი 17 მეტრსა და 35 სანტიმეტრზე.

მიუნხენში სანეევის შედეგის გაუმჯობესება ვერავინ შეძლო და ვიქტორი მეორედ დააჯილდოვეს ჩემპიონის ოქროს მედლით. ამ გამარჯვების შემდეგ ჟურნალისტებმა მას ასეთი კითხვით მიმართეს:

— როგორ მოიქცეოდით, თქვენს მიერ ნაჩვენები შედეგი სხვას რომ გაეუმჯობესებინა?

— პირველად მეხიკოშიც ვაგებდი, მაგრამ უკანასკნელ, მეექვსე ცდაზე გავიმარჯვე. ახლაც სრულ მზადყოფნაში გახლდით, კიდევ უფრო შორს რომ გადავმხტარიყავი!

მონრეალის ოლიმპიადის წინ სანეევს არასასიამოვნო ცნობა ისევ სამხრეთ ამერიკიდან — ამჯერად პელეს სამშობლოდან, ბრაზილიიდან მოუვიდა. კაპრალმა ჟოაო კარლოს დე ოლივეირამ მისი მსოფლიო რეკორდი 45 სანტიმეტრით გააუმჯობესა. ცნობას ამ რეკორდის შესახებ მაშინ სამმაგი ხტომის კორიფემ ასეთი კომენტარიც კი გაუკეთა:

— მეხიკოს სტადიონი, სადაც ოლივეირამ ეს რეკორდი დაამყარა, მაღალმთიან კატეგორიას განეკუთვნება. საფიქრებელია ახალმა მსოფლიო რეკორდსმენმა, თუ რატომ გვიჩვენა მოკრძალებული შედეგი — 16-33 თავისი ქვეყნის პირველობაზე!

... ვერცხლისფერმა ლაინერმა კურსი კანადის ქალაქ მონრეალისკენ, XXI ზაფხულის ოლიმპიადის მასპინძელი ქალაქისაკენ აიღო. საბჭოთა კავშირის სპორტული ღირსება სამმაგ ხტომაში სსრ კავშირის ჩემპიონს ვ. შევჩენკოსა და ვ. სანეევს უნდა დაეცვათ.

დადგა ფინალური შეჯიბრების დღე. ბრძოლას ოლიმპიური ოქროსათვის ოცდაათგრადუსიან სიცხეში

ოთხმოცი ათასი მაყურებელი ადევნებდა თვალს. ოლიმპიური ჩემპიონის მხარეზეა წლობით დაგროვილი გამოცდილება, სიმშვიდე, ძალების სწორი გაანგარიშება. ამერიკელ, ბრაზილიელ, კუბელ მხტომელებს აქ გამაყრუებელი ყიჟინით ხვდებიან, აფრიალებენ თავიანთი ქვეყნების დროშებს, აჭყვიტინებენ საყვირებს, გუგუნებს სტადიონი.

მეორე ცდაზე ჩემპიონმა 16-71 აჩვენა და მეორე ადგილზე გადაინაცვლა. ახლა საჭიროა მხედველობიდან არ გამოგრჩეს ლიდერი. ყველაფერი წინაა, რადგან 12 ფინალისტიდან რვა 17 მეტრიან ზღვარს უმიზნებს. სანეევის შემდეგ გრძელწვივებიანმა ლამაზმა ზანგმა ჯ. ბატსმა 16-76 უჩვენა და ოლიმპიურმა ჩემპიონმა მესამე ადგილზე გადაინაცვლა. ტრიბუნებზე ყურთასმენა არაა, მაგრამ სანეევს არაფერი ესმის. ვიქტორი ჩინებულად იცნობს საკუთარ თავს. იგი მაშინ აენთება, როცა მოახლოებული გამარჯვების წყურვილს იგრძნობს. „სად არის ოლივეირა?" — ფიქრობს სანეევი, აგერ ისიც. მას მხოლოდ 16 მეტრი და 15 სანტიმეტრი აჩვენა. „თავს გადამწყვეტი ბრძოლისათვის ინახავ, ვიცი რა ეშმაკიცა ხარ", — ფიქრობს თავისთვის ვიქტორი. წინათგრძნობამ არც აქ უმტყუნა სანეევს. მსოფლიო რეკორდსმენმა ოლივეირამ კარგი სტარტი აიღო, შემდეგ მძლავრი გარბენი, ანარეკლი და სასურველი შედეგიც — 16 მეტრი და 85 სანტიმეტრი. ოლივეირა სათავეში მოექცა ლიდერთა სამეულს. სტადიონზე უფრო ჩამოცხა. რას ფიქრობდა იმ წუთებში ვიქტორი, ძნელი სათქმელია; ფაქტი კი ერთია, რომ მას არ სურდა ორგზის ოლიმპიური ჩემპიონების ფ. და სილვასა და ი. შმიდტის ხვედრი გაეზიარებინა.

მესამედ, მესამედ, მესამედ! — ჩასძახოდა უხილავი ხმა. მესამე ცდაზე ვიქტორმა პირველმა მიაღწია 17 მეტრსა და 6 სანტიმეტრს და შეჯიბრების ლიდერი გახდა. დაძაბულობამ სამმაგი ხტომის ორმოსთან კულმინაციურ წერტილს მიაღწია. როცა ზანგმა ბატსმა გაამართლა ამერიკელთა იმედები და 17 მეტრსა და 18 სანტიმეტრზე გადახტა, სანეევსა და ოლივეირას ხელი მოეცარათ.

როდესაც უკანასკნელის წინა, მეხუთე ცდა უნდა დაწყებულიყო, ვიქტორის თვალები პირველ რიგებში მჯდომ მწვრთნელის აკოფ კერსელიანის მშვიდ სახეს წააწყდა. მწვრთნელის დამაჯერებელმა მზერამ ოდნავ დაამშვიდა ოლიმპიური ჩემპიონი. სანეევმა, რომელიც თითქოს ილაჯგაწყვეტილი იყო ორსაათიანი ბრძოლით, აზარტული ნახტომი შეასრულა — 17 მეტრი და 29 სანტიმეტრი. შემდეგ ეს შესანიშნავი ნახტომი არაერთხელ უჩვენეს კანადის ტელევიზიით.

ამრიგად, მის ოქროს მედლებზე არის წარწერები — მეხიკო, მიუნხენი, მონრეალი... სამ ოლიმპიურ ოქროს მედალს საბჭოთა მთავრობის მაღალი ჯილდო — ხალხთა მეგობრობის ორდენი და თბილისელთა სიყვარულით აღსავსე მილოცვები მოჰყვა.

ჟურნალისტები ისევ არ ასვენებდნენ ოლიმპიადის სამგზის ტრიუმფატორს. კითხვაზე — გამოხვალთ თუ არა მოსკოვის ოლიმპიადაზე? სანეევი იღიმება და თავდაჯერილად ამბობს, ვნახოთ, მომავალი გვიჩვენებს. თაყვანისმცემლებს კი სჯერათ და ერთხმად აცხადებენ რომ ვიქტორი მოსკოვშიაც გაიმარჯვებს.

შალვა ქირია

# თითქმის დაუჯერებელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინგლისში ყოველ ორ წუთში ხდება... ბინის გაძარცვა.

ბოროტმოქმედები ბინებს უმთავრესად დილის საათებში ტეხენ. დანაშაულის 85 პროცენტი გაუხსნელი რჩება.

პაკისტანელმა თვალის სპეციალისტმა მ. ხაგმა დაადგინა, რომ თევზის რქოვანმა გარსმა შეიძლება შეცვალოს ადამიანის რქოვანი გარსი.

ამ მეთოდით მან ჩაატარა ოპერაცია და თვალის ჩინი დაუბრუნა 68 წლის მოხუცს, რომელიც ბრმა იყო... 3 წლიდან.

ჩვენ ვიცით, რომ არსებობს ავტომობილი, ელექტრომობილი. ინგლისელმა ალან ფრიმენმა ამას წინათ დაამზადა მზემობილი.

ეს მოწყობილობა მზის ენერგიით იკვებება და საათში ჯერჯერობით 25 კილომეტრამდე სიჩქარეს ანვითარებს.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მონაცემებით მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ამჟამად შიმშილობს... 460 მილიონზე მეტი ადამიანი.

ბევრ ქვეყანაში კვების რაციონი ერთ სულ მოსახლეზე ნორმალურთან შედარებით 20-30 პროცენტით დაბალია.

ამერიკა დიდი რაოდენობით ჰყიდის არა მარტო საომარ იარაღს, არამედ სხვადასხვა სახეობის... საწამებელ იარაღებსაც.

ჩილეში, ნიკარაგუაში, აფრიკის ზოგიერთ ქვეყნებში დიდი მოთხოვნილებაა ამერიკის შეერთებულ შტატებში დამზადებულ ადამიანის ფრჩხილების საგლეჯებზე, ხელბორკილებზე, ჯაჭვებზე და სხვ.

ა. დიუმას ცნობილი რომანი „სამი მუშკეტერი" თავისებური რეკორდსმენია.

უკანასკნელი 60 წლის მანძილზე ამ ნაწარმოების მიხედვით სხვადასხვა ქვეყანაში გადაიღეს... 120-ზე მეტი კინოფილმი.

ვინმე დიტერ რაიმერის ფირმა, რომელიც მიუნხენშია მოთავსებული, ვაჭრობს... კურიოზებით.

მისი კლიენტები არიან მსახიობები, კინემატოგრაფისტები, ტელევიზიის თანამშრომლები, მწერლები.

ფირმა ყოველგვარი სახის დაკვეთებს იღებს და მზად არის შეუძლებელი შეასრულოს.

გამალებულ შეიარაღებაზე 1954 წელს 126 მილიარდი დოლარი დაიხარჯა. 1977 წელს კაცობრიობამ გამალებულ შეიარაღებაზე დახარჯა... 350 მილიარდი დოლარი.

ბელგრადში ამას წინათ ორჯერ გაიმართა საფეხბურთო მატჩი ჯერ სტადიონზე, შემდეგ კი... კალათბურთის მოედანზე.

ერთმანეთს ხვდებოდნენ ფეხბურთელები და... კალათბურთელები.

ორივე თამაში მოიგეს... კალათბურთელებმა.

იაპონელი ტაქსის მძღოლი ე. ტაკეისი მხოლოდ იმიტომ მოხსნეს სამუშაოდან, რომ უარი თქვა მოეპარსა... ულვაშები.

ქალაქ კავასაკის ტაქსების კომპანიის უფროსს, როგორც ეტყობა, არ უყვარს ულვაშები.

## „დროშა" № 8-ში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები

**თარაზულად:** 4. ნოკაუტი; 7. სტიქია; 8. ურარტუ; 9. კოლეგია; 14. დუმბაძე; 15. გეიშა; 17. არიზონა, 18. შატროვი; 19. ბაობაბი; 20. გვადი; 21. კულტურა; 22. ონტარიო; 24. ბალზამი; 26. ირემი; 27. ნალჩიკი; 29. პაროდია; 32. ევანსი; 33. დებოში; 34. ედისონი.

**შვეულად:** 1. მონაკო; 2. დარასელია; 3. ეტიუდი; 5. სტამბა; 6. შტამპი; 10. ამაშუკელი; 11. ბელორუსია; 12. ლაფონტენი; 13. პოლიფონია; 15. გრიგალი; 16. ალბიონი; 23. რეზონანსი; 25. აქტივი; 28. ლავაში; 30. ამინდი; 31. იადონი.

გარეკანის პირველ გვერდზე: ბერიკაცი. ალექსანდრე სააკოვის ფოტო.

გადაეცა ასაწყობად 6 VIII-78 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 11. IX-78 წ., ქაღალდის ზომა 70×108 1/8, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 2,5. პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 3,5, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 4,9, ტირაჟი 52.000 შეკვ. 2235 უე 00815 ფასი 30 კაპ.

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал «Дроша» (на грузинском языке) Издательство ЦК КП Грузии

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14

რედაქციის მისამართი
380008, თბილისი 8, რუსთაველის პრ. 42
ტელ. — მთ. რედაქტორის — 99-54-66, პ/მგ. მდივნის — 99-82-69, განყოფილებების გამგეების — 93-28-42, 99-01-39.

რედაქციაში შემოსული მასალა ავტორს არ უბრუნდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა







# უკაცრიელ კუნძულზე

**თენგიზ გოგოლაძე**















ეროვნული ბიბლიოთეკა



# ზღვაზე

შ. ჩხეტიანისა და ა. საკოვის ფოტო.





ИНДЕКС 76056